გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველების გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№401 (460) 7-14 მარტი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

ჰამლეტ ჭიპაშვილი: „ოდიოზური“ ლავროვის განცხადების გამო

გვ.2

ანზორ დანელიას მიმართვა ქ. თბილისში გამომავალი გაზეთების რედაქციებს და მათ რედაქტორებს!

გვ.3

მისმა ლირსებებმა ის საკუთარი ხალხის კერპად აქცია!

გვ.3

ზურაბ კვარაცხელია — განცხადება მეგრული თვითმყოფადობის გადარჩენის აუცილებლობაზე

გვ.3

აკაკი ვასაძე: ისტორიული შეხვედრა იოსებ სტალინთან

გვ.5

განუმეორებელი ლეგენდა, სახელად როსტომ აბაშიძე!

გვ.12

დავით ქობალია: ვის სჭირდება მსოფლიო “კულტურტრეგერის” ფუნქციადაკარგული ევროპა?!

გვ.3

ნუგზარ თუშიშვილი – ქართული ანბანის არსი

გვ.11

გვ.4

ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

თენგიზ კუბლაშვილი: ამდენი უკეთური?!

გვ.7

“ოდიოზური” ლავროვის განცხადების გამო

დასაწყისიდანვე მინდა ვუთხრა მკითხველს, რომ არც რუსეთის მოტრფიალე ვარ და არც მის პოლიტიკოსებს ვეთაყვანები, პრეზიდენტის ჩათვლით, მაგრამ ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანში და მეც, ასეთად ვთვლი საკუთარ თავს, უკურეაქციას იწვევს ამ ქვეყნისა და მისი პოლიტიკოსების მისამართით გამოთქმული ლანძღვა-გინება, შეურაცხმყოფელი განცხადებები, რასაც ხშირად აკეთებენ საქართველოს პოლიტიკოსები, ხელისუფლება-ოპოზიცია, ჟურნალისტები და პოლიტოლოგები. ვერც ერთი მათგანი ვერ ხვდება, რომ ცილისმწამებლური გამონათქვამები – ფართო საზოგადოებისთვის გამიზნული, იშვიათ შემთხვევაში თუ აღწევს იმ მიზანს, რისთვისაც ზემონახსენები კატეგორია ტყვიამფრქვევივით აფრქვევს საკუთარი ბაგიდან.

სინამდვილე ადრე თუ გვიან არ იმალება და საზოგადოებას იმათ საწინააღმდეგოდ განაწყობს, ვინც ანტირუსულად აპირებდა ხალხის დარაზმვას. ცხადია, არიან პროპაგანდას აყოლილი და დაბეჩავებული ადამიანებიც, რომლებიც აბაზანის ღრუბელივით ისრუტავენ ყოველივე ანტირუსულს, ვინაიდან ისინი კარგა ხნის დაპროგრამებულები არიან და მათ აზროვნებაში სინათლის შეტანა გადაუჭრელი პრობლემაა. ისინი, ასეთებად დარჩებიან, თანაც სამარადისოდ, ვინაიდან ასე სურთ მათ. დანარჩენ ჯანსაღ ნაწილს კი უდავოდ სჭირდება გაფრთხილება, შიგადაშიგ სინამდვილის მიწოდება, რომ ეს ჯანსაღი ნაწილიც, არაჯანსაღად, რუსოფობიით დაავადებულად არ გადაიქცეს.

თუ რატომ არის **„ჯანსაღის“** გაფრთხილება იმათ მხრიდან საჭირო, ვისაც საზოგადოებისთვის ჭეშმარიტების მიწოდება აქვს განზრახული, ღრმა ახსნა-განმარტებას არ მოითხოვს. მარტივად შეიძლება ითქვას – საზოგადოების ცნობიერების დაცვა სარეველასგან, ჭორიკნობისგან, რუსთა სამუდამო მტრობისგან ქართველთა დასახსნელად.

საქართველოს ბედმა არგუნა ის გეოგრაფიული მდებარეობა, სადაც ის რახანია ცხოვრობს. საქართველოს ბედმა არგუნა მეზობლები, რომლებიც მას ჰყავს. საქართველოს ბედმა არგუნა ჩრდილოეთიდან რუსეთის მეზობლობა, რასაც საფუძველი მრავალი საუკუნის წინათ ჩაეყარა. საქართველოს ბედმა არგუნა ამ დიდ მეზობელთან პოზიტიური თუ ნეგატიური ურთიერთობები, რომელთა შორის პოზიტიური სჭარბობდა. საქართველოს ბედმა, მე ვიტყოდი ღმერთმა არგუნა მეზობლად მართლმადიდებლური უდიდესი სახელმწიფო, რომელსაც სიტყვა ეთქმის მსოფლიოში. საქართველოს ბედმა არგუნა ე.წ. პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, წვრილფეხა ექსპერტობა, რომელთა წყალობით საუკუნოვანი ურთიერთობები განქიქებას მიეცა და სერიოზული წყალი შეუყენა რუსი და ქართველი ხალხების ისტორიულ ურთიერთობას.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაწყებული, დღევანდელობით დამთავრებული, მსოფლიო თავდავიწყებით მიექანებოდა გლობალიზაციის, ამ უაღრესად გადამდები და მავნე სენის განვითარება-განმტკიცებისკენ. გლობალიზაცია ამერიკულად ნიშნავდა და ნიშნავს მსოფლიოს ერთპოლუსიანობას, ამერიკელთა მიერ ამ პოლუსზე სამუდამო ყოფნას, მხოლოდ ამერიკულის და არა სხვისი კულტურის, ხელოვნების, ცხოვრების წესის, პოლიტიკის თავყანისცემას, მსოფლიოში არსებული 200-ზე მეტი სახელმწიფოს და ხალხის ამერიკისადმი მორჩილებას.

პრეზიდენტ ობამას საყვარელი გამოთქმა იყო – აშშ-ი ყველასგან განსხვავებული, პრიორიტეტული სახელმწიფოა, რაც უდავო გაღიზიანებას იწვევს სხვა ხალხებში, მათ შორის რუსებში, ჩინელებში, ინდოელებში და ა.შ. გაღიზიანებასთან ერთად მათ მეტოქეობის გრძნობაც გაუჩნდათ და სულ რაღაც 20-30-წლიანი ერთპოლუსიანობის, ერთმმართველობის სისტემას წყალი შეუდგა. მართალია, ეს პროცესი ჯერაც გრძელდება, მაგრამ მსოფლიოს, მხოლოდ ვაშინგტონიდან მართვა აღარ იქნება. პასუხისმგებლობას სხვებიც აიღებენ თავიანთ თავზე.

ანტიგლობალიზაციამ თავისთავად წამოატივტივა პოლიტიკოსები, რომლებიც გლობალურს, ეროვნულს ამჯობინებენ. ასე და ამრიგად ტრამპმა გაიმარჯვა ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში, საფრანგეთში მარინ ლე პენი ლიდერობს საპრეზიდენტო არჩევნებში, ბრიტანეთი სტოვებს ევროკავშირის დიქტატს და ა.შ. მსოფლიოში იგრძნობა ახლებური წესების დამკვიდრების სურნელი. ძნელად, მაგრამ მაინც უკან იხევს ლიბერტალიანიზმი, გლობალიზაცია – ერთიც და მეორეც, გაქრობით რომ ემუქრებოდა მცირე ერებს, მათ შორის ჩვენც. მათ ადგილს ეროვნულობა იკავებს.

უაღრესად რთულ პროცესს, რომელშიც ძალაუნებურად ვართ ჩართული, სხვაგვარი აზროვნება სჭირდება, ისეთი, რომელიც გააძლებინებს ქვეყანას და მძიმე ტრანსფორმაციის წლებს ნაკლები დანაკარგებით გადაატანინებს. შეძლებს თუ არა ისეთი მცირერიცხოვანი ერი, როგორიც ჩვენია ამ გამოცდის ჩაბარებას?

შეძლებს, ოღონდ მან უნდა შეიცვალოს აზროვნება, ცუდსა და კარგს შორის განსხვავების ხელოვნებას უნდა დაეუფლოს, გახდეს თვითკრიტიკული, შეიძინოს ანალიზის უნარი. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაეუფლოს ყველასთან, განსაკუთრებით მეზობლებთან გონივრული ურთიერთობების ხელოვნებას. ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღოს ლანძღვა-გინებისგან, შეურაცხყოფისგან, რასაც სისტემატურად მიმართავს ის დღეს. წამითაც არ დაუშვას ისეთი გამონათქვამი, როგორიცაა: **„საქართველოს ასეთი ოდიოზური ფიგურების ოდიოზურ განცხადებებზე თავის გასამართლებელი არაფერი სჭირს“** – ოდიოზურ ფიგურად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი მოიაზრება. ამ გამონათქვამის ავტორია საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი (ასეა მოხსენებული **„რადიო თავისუფლების“** მიერ) გიორგი გობრონიძე, რომელიც განმარტავს მიუნხენში გაკეთებულ ლავროვის განცხადებას.

სხვათაშორის მიუნხენის კონფერენციის ჩარჩოებში ლავროვის მიერ გაკეთებულ განცხადებებს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა საქართველოში. მაინც რამ ააღელვა ქართული პოლიტიკა და მედია?

იმან ხომ არა, ლავროვმა რომ თქვა ამიერკავკასიას და მთლიანად სამხრეთ კავკასიას ექსტრემისტები, ტერორისტები და ნარკომოვაჭრეები ხშირად იყენებენ თავიანთ მარშრუტებშიო. **„როდესაც ჩვენ დავალაგებთ სრულფასოვან ურთიერთობებს რუსულ-ქართულ სამართალდამცავ ორგანიზაციებს შორის, როდესაც ყველა ეს რისკი ორივე მხრიდან მაქსიმალურად იქნება აღკვეთილი, მაშინ ალბათ შესაძლებელი იქნება ვილაპარაკოთ სავიზო რეჟიმის შემსუბუქებაზე. ასეთი თანამშრომლობის დალაგება რთულია, დიპლომატიური ურთიერთობების არ არსებობის პირობებში“** – თქვა ლავროვმა.

რა არის ლავროვის ნათქვამში ასაღელვებელი? რაც მან თქვა ფაქტია, თანაც საკმაოდ ცნობილი ამერიკელი ექსპერტები რომ წერდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ჯეიმს ჯატრასმა სქელტანიანი წიგნიც კი გამოსცა, სადაც წერს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს საქართველოში გამართულ საერთაშორისო ტერორისტულ თავყრილობებზე, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ბადფორმირება **„ალ-ქაიდას“** წარმომადგენლები.

საქართველოში გამართული შეკრებების ორგანიზაცია შსს მაღალჩინოსან (მინისტრის მოადგილეს) ლორთქიფანიძეს ჰქონდა მინდობილი. ცნობილი ფაქტია, პანკისსა და სხვაგან ტერორისტების წვრთნისა და რეაბილიტაციის თემებიც და ისიც, რამდენი ბოევიკი იბრძოდა და იბრძვის სირია-ერაყში **„ისლამური სახელმწიფოს“** მხარეს. ისიც ცნობილია, რომ არაბი თუ სხვა ქვეყნის ტერორისტები როგორ იყენებდნენ საქართველოს, ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელად.

გავიმეორებ, ლავროვამდე ყოველივე აღნიშნული ამერიკელებმა თქვეს. რაც შეეხება ქართულ-რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლობას, ცხადია შესაძლებელია, თუ ქართული მხარე ამ საკითხს ანუ ტერორიზმთან ბრძოლას სერიოზულად მიუდგება, რისი დიდი ეჭვი მაქვს.

გავიხსენოთ სტამბოლის ხელშეკრულება საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. მაშინ რუსეთი დათმობაზე წავიდა იმის იმედით, რომ ბათუმის სამხედრო ბაზა გადაკეთდებოდა ტერორიზმთან ბრძოლის საქართველო-რუსეთის ერთობლივ ცენტრად. სტამბოლის შემდეგ მოსკოვს სტუმრობდა საქართველოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. ვიზიტის დროს შემუშავდა მემორანდუმი, სადაც ჩაიწერა აღნიშნული ცენტრის შექმნის თაობაზე. ქართულმა მხარემ დაპირება არ შეასრულა, რაც უარყოფითად შეფასდა მოსკოვში.

ტერორიზმი უცხო არ არის საქართველოსთვის. ისიც ცნობილია, რამდენი პანკისელი, ქვემო ქართლელი ან აჭარელი იბრძვის სირიაში **„ისლამური სახელმწიფოს“** მხარეს და ამის შემდეგ გულის გასახეთქად უნდა მოგვეჩვენოს ლავროვის ნათქვამი?

სრულიად უადგილოდ მიმაჩნია ტურიზმის ზრდის მოშველება – აქაოდა აქ, რომ ტერორიზმი ყვაოდეს, ტურისტების ნაკადი არ გაიზრდებოდაო? ტურისტების ნაკადი არც საფრანგეთში და არც გერმანიაში არ შემცირებულა, მიუხედავად ტერორისტული აქტებისა.

ლავროვს არ უთქვამს, რომ საქართველოში ტერორისტულ აქტებს აქვს ადგილი. მან თქვა, ის, რაც თქვა. რაც შეეხება სავიზო რეჟიმის გაუქმებას, არ შემოგვეღო სავიზო რეჟიმი და რუსეთთან დღეს უვიზო მიმოსვლა იქნებოდა. ჩვენ დაგვავიწყდა, რა უძღოდა სავიზო რეჟიმის შემოღებას წინ – **„მოქალაქეთა კავშირის“** ახალგაზრდული ფრთის დაჟინებული მოთხოვნა რუსეთთან ვიზების შემოღების თაობაზე.

აღნიშნულის სულისჩამდგმელი გახლდათ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ ადამია. ის და მისი კოლეგა ე.წ. რეფორმატორები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ნამდვილი სუვერენიტეტისთვის საჭირო იყო რუსეთის გავლენიდან გამოსვლა, ორი ქვეყნის დისტანცირება, ამისთვის კი – სავიზო რეჟიმის შემოღება იყო აუცილებელი.

ქართული მხარის გადაწყვეტილებით შეშფოთებულმა რუსეთის ელჩმა საქართველოში სტანევსკიმ ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ მსგავსი გადაწყვეტილება ცუდათ იმოქმედებს ორი ქვეყნის ურთიერთობებზე და რომ ის კატეგორიული წინააღმდეგია ამისა.

1999 წლის შემოდგომით, რუსეთის მხარის თხოვნით, მოსკოვში გაიმართა რუსეთ-საქართველოს საგარეო საქმეთა ექსპერტების შეხვედრა, რომლის დროსაც ქართულმა მხარემ დაადასტურა სავიზო რეჟიმის შემოღების სურვილი. რუსული მხარის მოთხოვნით, დაიგეგმა მეორე შეხვედრაც, რომელზეც ქართულმა მხარემ **„დააგვიანა“** ჩასვლა მოსკოვში, რის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რუსეთის მთავრობას წარუდგინა თავისი მოსაზრება, ქართული მხარის მოთხოვნიდან გამომდინარე.

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მოსკოვმა წინადადებით მომართა ქართულ მხარეს დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მქონე პირთათვის მაინც შენარჩუნებულიყო უვიზო მიმოსვლა, მაგრამ ქართულმა მხარემ ამაზეც უარი თქვა. ასე და ამრიგად ორ ქვეყანას შორის დაწესდა სავიზო რეჟიმი, რომელმაც უდავოდ დააშორა ერთმანეთს ეს ორი ქვეყანა, რითაც გული გაუხარა **„მოქალაქეთა კავშირის“** ახალგაზრდა რეფორმატორების ამერიკელ მასწავლებლებს, რომელთა კარნახით განხორციელდა სავიზო რეჟიმის შემოღება.

ვიზის შემოღებით შეღონებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ხელისუფლების მიმართ გულისწყრომა გამოთქვეს, რაზეც, გადაბრალების დიდოსტატმა საქართველოს ხელისუფლებამ, ყველაფერი მოსკოვს დააბრალა.

თუ მაშინ ეს ტყუილი გაოცებას იწვევდა, 2008 წლის ტყუილი – რუსეთის, საქართველოზე თავდასხმასთან დაკავშირებით – უკვე ეჭვს ბადებდა, მაგრამ მძლავრი დასავლური და ადგილობრივი პროპაგანდის წყალობით, ბევრმა დაიჯერა, თუმცა იყვნენ და არიან ისეთებიც, ვისაც ეს არ სჯერათ. არადა, რაღა უნდა აეჭვებდეთ ევროკავშირის სპეცსაგამოძიებო კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ? არც არაფერი. ყველაფერი ნათელია – ომი სააკაშვილმა დაიწყო და მის თავდასხმას მძინარე ცხინვალზე დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

ამ და სხვა საკითხებს იძიებს ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა, რომელსაც რუსეთი არ ცნობს, ვინაიდან მან არ მიიღო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიერ მომზადებული დოკუმენტები. ლავროვმა განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში გამოძიება იქნება ცალმხრივი და შორს სინამდვილისგან. ამდენად რუსეთი უნდობლობას უცხადებს მას.

ლავროვის **„ოდიოზურობის“** სხვა მრავალი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ვგონებ შორს წაგვიყვანს და საზოგადოებას – შეგნებულს და მოაზროვნეს, უდავოდ გაუჩენს საწინააღმდეგო აზრს – იქნებ ჩვენი პოლიტიკაა ოდიოზური და არა სხვისი, რომელსაც თვით ოდიოზური, ოდიოზურობას სწამებს?

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ქ. თბილისში გამომავალი გაზეთების რედაქციებს და მათ რედაქტორებს!

“რა ენა წახდეს, ერი დაეცეს!”
ᲘᲚᲘᲐ

ბატონებო! უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, კეთილი სურვილებით კიდევ ერთხელ მოგილოცოთ განვლილი დღესასწაულები, თქვენ და თქვენს რედაქციებს მკითხველ საზოგადოებასთან ერთად! გისურვოთ ყოველივე საუკეთესო ცხოვრებაში, და რაც მთავარია ვისურვო თქვენი და ჩემი სამშობლოსათვის მშვიდობა და კეთილდღეობა! განსაკუთრებული პატივისცემით და მოწიწებით მივულოცო, ჩვენს ბრძენ პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს! ამინ!

საქართველოს დაქცევა-განადგურება, კიდევ ერთხელ დაიწყო 1991 წლის 22 დეკემბერს, როდესაც ქართველმა მანქურთებმა და მათთან მიტმასნილმა გარეწრებმა, ცეცხლი გაუხსნეს ახლად ფეხადგმულ სახელმწიფოს, რომელსაც სათავეში ედგა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ზვიად გამსახურდია! კაცი, რომელმაც **“სამშობლო, დედის ძუძუი”** არ გასცვალა არავითარ, ამქვეყნიურ სიკეთეებზე! ამ ყოველივეს სულის ჩამდგმელი და მამოძრავებელი **“ბრძანდებოდა”** სულით ხორცამდე იუდა, შევარდნაძე! ქვეყნის, პირისაგან მიწისა აღგვის მცდელობაში, სხვებთან ერთად, ფრიად სამწუხაროდ ჩვენდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ (დღესაც აგრძელებენ!) სამღვდელოების ზოგიერთი ვაი წარმომადგენელი! ამ ვაი წარმომადგენლებს რომ უფლის წინაშე წარდგომისას, ჯოჯოხეთი არ ასცდება, ეს ხომ უდავოა, და ალალიც იქნება მათზე! მაგრამ ისინი ხელმძღვანელობენ კვერცხისა და ქათმის პრინციპით, დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ, ხვალინდელ ქათამს! ამ სუბიექტებმა უკვე დაიწყეს პოლიტიკაში აქტიური ჩარევა. ამის ნათელი მაგალითია, მათი ნატოს(?) შტაბ-ბინაში გასეირნება, მრევლის მიერ შეწირულ-შეკოწიწებული სახსრებით! ადამიანი, რომელიც თავის **ᲛᲔ**-ს გარდა ვერ ხედავს ვერაფერს, ის არ შეიძლება ადამიანად იწოდებოდეს! 25 წელიწადი გავიდა და ამ ხნის მანძილზე, ყველა ვინც ქვეყნის მართვის სათავეში მოვიდა, ყველამ მოიყვანა მასავით საკუთარ კეთილდღეობაზე მოფიქრალი გარეწარი! სხვანაირად მათზე არ შეიძლება თქმა, ვინაიდან მათ **“სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი”** არ გააჩნიათ! და იცით რატომ? შესაბამისი გამზრდელი არ ჰყავდათ! ალბათ ამათზე და მათნაირებზე ბრძანა დიდმა შოთამ: **“ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ცუდად ზრდილი”**-ო! მაგრამ, უბედურება ის არის, რომ ამ ვაი გამზრდელის მცემელი პიროვნება, არ იქნა და არ გამოჩნდა ჩვენთან! ამისთანა გამზრდელი, ჯობია არ არსებობდეს ქვეყნად! ეს ყოველივე, რაც ზემოთ მოგახსენეთ, არის დღეს საქართველოში არსებული, უკიდურესად გაუსაძლისი ვითარების ბრალი, რომელიც შედეგია ქვეყნად არსებული განუკითხაობისა, რომელიც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, დაიწყო 1991 წლის 22 დეკემბერს და დღესაც გრძელდება! ქვეყნის არსებობის ძირითადი ღერძი არის ეკონომიკა და განათლება! ორივე განადგურებულია! ქვეყანას გააჩნია რა უამრავი საშუალება, რათა კრიზისულ მდგომარეობას, შედარებით იოლად (სასმელი წყლის, ენერგეტიკის-მზის ენერგიის, სოფლის მეურნეობის ინტენსიურად განვითარება და მრავალი სხვა!) დააღწიოს თავი, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება, რომელმაც უკლებლივ გადმოიბარა ნაცებისაგან, ქვეყნის გაჩანაგების სწრაფმოქმედი გეგმა, ჯიუტად აგრძელებს წინა ხელისუფლების გზას!

რაც შეეხება განათლებას! მისი განადგურება დაიწყო ნაცების ზეობის დროს! აბა წარმოიდგინეთ როგორ შეიძლებოდა განათლება არ დაქცეულიყო ლომაიას, ნოდიას, შაშკინის, გვარამიას, მარგველაშვილის, სანიკიძის, და ეხლა ჯეჯელავას (?) მინისტრობის დროს? დაწყებული ნაცების დროიდან, სკოლებს წაართვეს დასახელება – საშუალო და დაარქვეს – საჯარო (?!). სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს გოგებაშვილის დედა ენა (!), საქართველოს ისტორია და მრავალი ისეთი საგნები, რომლებიც მოზარდს აძლევდა ნამდვილ განათლებას. ზრდიდა სამშობლოს მოყვარულ ადამიანად! სახელმძღვანელოებს ადგენენ ისეთი პიროვნებები, რომლებსაც განათლებასთან არავითარი შეხება არ აქვთ, ან აქვთ მხოლოდ ირიბი, სხვათაშორისი დამოკიდებულება. აი ისეთი, როგორიც ჰქონდა ან აქვს ე.წ. მინისტრებს! დღეს კი რა ხდება? სკოლებში შეიყვანეს ე.წ. მანდატურები. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა მანდატური განმარტებულია შემდეგნაირად: **“მანდატური არს ხელარგოსანი მეფეთა თანა მიღმა მდეგი, რომელთა მიერ წარვლინებითა განიგების ყოველნი. აგრეთვე იასაული, ბოქაული.”** აი, ბატონებო, რა სულისკვეთებისა და ჯურის ხალხი განაგებდა და განაგებს მეცნიერებას და განათლებას! ის რაც გაანადგურეს ნაცებმა, ქოცებმა, იმის მაგივრად, რომ დაეწყოთ გაფუჭებული საქმის გამოსწორება, მათ პირიქით, რაც ნაცებმა ვერ მოახერხეს, ამათმა თითქმის ბოლომდე მიიყვანეს! დასახელებული მომინისტრო სუბიექტებიდან, რომელს ჰქონდა მეცნიერებასთან შეხება? ნაცებმა გააუქმეს დოცენტის წოდება და ყველას, ვისაც ჰქონდა ხარისხი, სადოქტორო თუ საკანდიდატო, ყველა დოქტორი გახადეს (?)! შემოიღეს ტერმინი ასო(ს)ცირებული პროფესორი? მეცნიერს (?) ასოცირებული რომ ერქმევა, რა მეცნიერი იქნება ის? სირცხვილი არ არის საქართველოში მეცნიერების საქმეებს განაგებდეს ჯეჯელავა? ისე, ბატონო ბიძინა, ხომ არ აჯობებდა შეგექმნათ ერთი კარგი სამიკიტნო, სადაც მიკიტნად დანიშნავდით ჯეჯელავას (არ მოუხდებოდა, თუ რა?), მენეჯერად (თქვენებური ტერმინია, **“კარტული არ გეკერკებატ”**) კვირიკაშვილს და ბუღალტრად ქუმსიშვილს. თან გაერთობოდნენ, თან ფულს იშოვნიდნენ ბღუჯა-ბღუჯად. შენ დაუკა! საამურია (თქვენთვის!) ცხოვრება! სხვაში ესენი, როგორც ეტყობათ არაფერში უქნია ღმერთს!

მივადექი ძირითად სათქმელს, რომელზე საუბარიც გულისტკივილის გარეშე არ შეიძლება. ეს არის ჩვენი დედა ენა, ქართული! ეს ხელიხელ საგოგმანები, აუწონავი განძი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დიდი რუდუნებით მოიტანეს ჩვენამდე, დღეს არის დამცირებულ-დაკნინებული! ვინც როგორ უნდა ისე გაიგოს! კომუნისტების პერიოდში საქართველოში განათლება და მეცნიერება იდგა უმაღლეს დონეზე! ქართულ ენას და მისი განვრცობა-სიწმინდე, ხელისუფლებისაგან გარემოცული იყო მაღალ დონეზე! ნაცების ხელისუფლებაში მოსვლისას, იყო ქართული ენის პალატა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბრწყინვალე მოქართულე, ბატონი ლევან ღვინჯილია! განათლების გასანადგურებლად, ციმ-ციმ გააუქმეს აღნიშნული პალატა! მაშინ, (კომუნისტების დროს) ვერც ტელევიზიით და ვერც გაზეთის ფურცლებზე ვერავინ გაბედავდა ქართული ენისადმი უდიერ დამოკიდებულებას. იყო შემთხვევითი შეცდომები და არა შეგნებული, დანაშაულებრივი მოპყრობა ენისადმი! დღეს, გინდა ტელევიზიით, გინდა გაზეთით, ყველგან უგულვებელყოფილია ქართული ენა! როგორც ტელევიზიით, ასევე პრესით ხშირია უწმაწური სიტყვების პირდაპირი ხმარება! ხშირად მახსენდება სულგანათლებული მუხრან მაჭავარიანის ლექსი, სადაც არის ასეთი სტროფი: **“რა ვუთხრა ისეთ მეგობარს, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად, წერას, კითხვას და ლაპარაკს.”** მინდა ვკითხო ბეჭდვითი პრესის მესვეურებს: ბატონებო, ნუთუ, დავიჯერო უხერხულობას არ გრძნობთ თქვენს გაზეთში დაბეჭდილი, არაქართული სიტყვების გამო, რომელსაც ცდილობენ ქართულად შემოსაღებას? კიდევ ერთხელ მინდა, ბოდიშის მოხდით შევაწუხო მუხრანის ქართული სული და მოვიხმო კიდევ პატარა ფრაგმენტი მისი, კიდევ ერთი შესანიშნავი ლექსიდან: **“სიტყვა გინდა?! – მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა. მე შენ გეტყვი – არ გეჭოფა სიტყვის მარაგი... არა! სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა, – კი!.. სხვა როცა მე შემომნატრის, მე მივბაძო სხვას?!”**

ბატონებო დადექით ჭეშმარიტი ქართველის სიმაღლეზე და პირველ რიგში პატივი ეცით საკუთარ თავს, გაზეთს რომელსაც უდგეხართ სათავეში, და რაც მთავარია თქვენს მრავალრიცხოვან მკითხველს, რათა გაზეთი გაიწმინდოს არაქართული სიტყვებიდან, ანუ სიბინძურისაგან, როგორებიც არის – **“აჟიოტაჟი”, “ადეკვატური”, “იგნორირება”, “სიტუაცია”** და ბევრი სხვა. ვიხმაროთ წმინდა ქართული სიტყვები – **აურზაური, შესაბამისი, უგულვებელყოფა, ვითარება** და ისევ სხვა და სხვა!

პატივისცემით და კეთილი სურვილებით, საქართველოს კეთილდღეობაზე მლოცველი,

ᲐᲜᲖᲝᲠᲘ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲗᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲑᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ – ვინც ქართული მიწის გაყიდვას გაბედავს, ან ხელს შეუწყობს მის გაყიდვას არა ქართველზე, წყეულიმც იყოს დედა-ბუდიანად, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე!!! ამინ!!!

Ა.Დ.

ᲘᲡᲔᲕ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲑᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ – საქართველოს პრემიერად წოდებულმა კვირიკაშვილმა, ბოლომდე აიგდო ხალხი მასხრად! ჯერ იყო და განათლების მინისტრად, არ ვიცი ვინ ჩვენი ცოდვით სავსის დავალებით თუ რჩევით შემოგვაჩეჩა თვალშისაცემად **„ბრწყინვალე“** სუბიექტი – ჯეჯელავა (!?). მერე, საშუალებას არ უშვებდა ხელიდან მისდამი ქება-დიდების აღვლენისა, ბოლოს კი მისი „უდიდებულესობა“ მესამე ვიცეპრემიერად განაწესა (!), მაშინ, როდესაც ხალხი ელოდა მის საერთოდ მოხსნას დაკავებული თანამდებობიდან! აი, ამას ჰქვია, **“ვინ არის ხალხი და ვინ მიგდია ისინი”**!!!

Ა.Დ.

მისმა ღირსებებმა ის საკუთარი ხალხის კერპად აქცია!

“საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI”-ის დირექტორი ზვიად ტომარაძე სოციალურ ქსელში **London Magazine On Gentlman’s monthly Intelligencer**-ში 1755 წელს დაბეჭდილი ერეკლე მეფის დახასიათებას აქვეყნებს:

“London Magazine On Gentlman’s monthly Intelligencer”-ში 1755 წელს დაბეჭდილი ერეკლე მეფის დახასიათება:

“თუ იმ ადამიანებს ვენდობით, ვინც იგი ნახა და გაიცნო, ის აღმოსავლეთის ყველაზე გამოცდილი პრინცია. ასაკით 27 წლისა, გამაოგნებელი გულადობა შესანიშნავად ერწყმის ბრძენკაცურ სიმშვიდეს. უკიდეგანო გამოცდილება, უძლეველი ვაჟკაცობა, სანიმუშო ღირსება, კეთილშობილებით სავსე სამართლიანობა და უსაზღვრო სივრცე აზროვნებისა. მისმა ღირსებებმა ის საკუთარი ხალხისა და ჯარისკაცების კერპად, მეზობლების აღფრთოვანების საგნად და მტრების შიშის ზარად აქცია! მისი სიმაღლე საკმაოზე მეტია, სხეული კარგად ჩამოსხმული, სახის წყობა მიმზიდველი, მისი მანერები და ტანსაცმელი უბრალოა, თუმცა მთლიანობაში ეს პიროვნება ისეთ დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მას საკუთარი სასახლის ღირსეულ პრინცად და არმიის შესანიშნავ გენერლად აღიქვამ. მე ჰერაკლიუსის ხასიათის შესახებ მხოლოდ სიმართლეს ვამბობ და რა უნდა იყოს სხვა მისგან მოსალოდნელი, პრინცისაგან, რომელმაც საკუთარ თავში ამდენი ბრწყინვალე თვისება გააერთიანა, რომელიც ძლევამოსილად ფლობს საქართველოს და სპარსეთის სომხეთის ორ დიდებულ სამეფოს, ვისაც გააჩნია ყველაზე დიდი უპირატესობა იყოს აღმოსავლეთის უმამაცესი ერების მთავარსარდალი, იმ ხალხისა, რომელიც საკუთარი პრინცისა და ქრისტიანული რწმენის დასაცავად დაუფიქრებლად გაწირავს თავს”, – წერს ტომარაძე.

ეს დახასიათება დიდი გულისყურით იმ ლიბერასტებმა უნდა წაიკითხონ, რომლებიც ერეკლე მეფეს ქართველი ერის მოღალატედ მიიჩნევენ იმიტომ, რომ ქვეყანა უძლიერესი სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ გადაიყვანა და გადაარჩინა იგი ფიზიკურ განადგურებას.

განცხადება მეგრული თვითმყოფადობის გადარჩენის აუცილებლობაზე

სამწუხაროდ, იძულებული ვარ კიდევ ერთი განცხადება გავაკეთო! საქმეც იმაშია, რომ არასდროს არ უნდა გაუჩნდეს მავანთ იმის ილუზია – მეგრელები ქართულ სახელმწიფოში ოდენ ქართველი ერის რაოდენობრიობის გასაზრდელად იყოს თითქოს საჭირო და მისი თვითმყოფადობის დაცვაზე მინიშნებაც კი მყისვე სეპარატიზმად იქნას მიჩნეული! ამიტომ, კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ ხმამაღლა ვაცხადებ: პრინციპულად აუცილებელია ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში და ზოგადეროვნულ კონტექსტში გადაწყდეს მეგრული (სვანურიც) თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხი! აქედან გამომდინარე, ლოგიკურიცაა და პრინციპულად აუცილებელიც – გადაწყდეს ამ თვითმყოფადობის უმთავრესი გამოხატულების – მეგრული ენის დაცვა-განვითარების საკითხიც! მიმაჩნია, რომ ამისათვის აუცილებელია საკანონმდებლო გარანტიები! მიმაჩნია, რომ ამისათვის ასევე აუცილებელია სტრუქტურული მექანიზმები! მიმაჩნია, რომ აუცილებელია სახელმწიფოებრივ დონეზე შეიქმნას კომპენტენტური კომისია, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებით! მიმაჩნია, რომ ამ კომისიამ უნდა შეიმუშავოს ყოვლისმომცველი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული და ჩადებული იქნება ყველაფერი, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც შეუქცევადად უზრუნველყოფს ქართველი ერის ნაწილის – მეგრული ეთნოსის თვითმყოფადობის გადარჩენას!..

შეგვეწიოს უფალი ჩვენს მამულიშვილურ ზრახვებში და ძალისხმევაში!..

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ,
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

წაიკითხა რა ორახელაშვილის წერილი, **სტალინმა** კაგანოვიჩს აცნობა:

"...ჩემი აზრით, მიუხედავად ბერიას მკაცრი მმართველობის სტილისა, – ამ საქმეში მაინც ორახელაშვილი ტყუის. ორახელაშვილს უარი უნდა ეთქვას მის მოთხოვნებზე... იგი არსად არ უნდა წავიდეს. ვშიშობ, რომ ორახელაშვილი საკუთარ ამბიციებს და ქედმაღლობას არის აყოლილი (სამსახურიდან გამოყარეს "მისი ხალხი") და საქმის ბედი ნაკლებად აინტერესებს..."

მართალი გახლდათ იოსებ ბესარიონის ძე, მაგრამ იგი ბოლომდე მაინც არ გახლდათ ლოგიკური. თუმცა, ჩვენ არ გვაქვს იმდროინდელი საქმეებისა და განცდების განსჯის უფლება...

მამია ორახელაშვილი მოსკოვში გადაბარგდა – მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ იქნა გამწესებული (იმ დროისათვის აღნიშნულ ინსტიტუტში ყალიბდებოდა ოპოზიციონერი-ინტელექტუალების კომპანია, არა იმდენად ანტისტალინისტური, რამდენადაც ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულებისა და სახელმწიფო გადატრიალების ცენტრი). ოდნავ მოგვიანებით, ასევე, მოსკოვში გაემგზავრა მისი მეუღლე – საკავშირო განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სასწავლებლების სამმართველოს უფროსად. იგი "შეიფარა" ლენინის ქვრივმა, იგივე ძველმა ტროცკისტმა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კრუპსკაიამ. (არსენ მარტიროსიანი).

1935 წლის აგვისტოში სკკპ (ბ) ცეკას პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება:

"ჩაითვალოს გარდაუვალ აუცილებლობად ამხ. სტალინის თხზულებათა სრულტომეულის გამოცემა და დაევალოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს – პარტიული პროპაგანდის განყოფილებასთან ერთად, ამხ. სტალინთან შეთანხმებით, საგამოცემო გეგმის შემუშავება".

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის (ИМЕЛ-ი) დირექტორის მოადგილე მაშინ იყო მამია ორახელაშვილი. მაგრამ მან და მისნაირებმა იმდენად "ენერგიულად" მოჰკიდეს საქმეს ხელი, რომ თხზულებათა პირველი ტომის გამოცემა მოხერხდა მხოლოდ 11 წლის (დიდი სამამულო ომის დამთავრების) შემდეგ. ავტორის წინასიტყვაობა პირველი ტომისათვის დაწერილია 1946 წლის იანვარში.

აი, ესეც თქვენ "პიროვნების კულტი"... და უამრავ ამგვარ ფაქტს ინახავს ისტორია!

ასე რომ, ბერია, მისი ნების გარეშე, ინტრიგების ობიექტი გახლდათ, რასაც გარკვეულ წრეებში "პოლიტიკურ ინტრიგებს" უწოდებდნენ, თუმცა მათში აშკარად გამოსჭვივოდა ვიღაცეების სუბიექტური ინტერესი. ლავრენტი პავლეს ძეს კი ამგვარი სიბინძურეებისთვის არ ეცალა.

"მსურს დავუმატო, – წერს იური მუხინი, – რომ რა თანამდებობაზეც არ უნდა ყოფილიყო ლავრენტი ბერია, იგი მუდამ აშენებდა. ეს მან აქცია თბილისი დედაქალაქად – შეუდგა სახლებისა და სასახლეების მშენებლობას, გაიყვანა წყალსადენი და კანალიზაცია..."

და რამდენი რამ იყო ჩაფიქრებული და დაწყებული: მთავრობის ახალი სასახლე; რკინიგზის ხაზი გორიდან სტალინირამდე (ცხინვალი); მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზება, საბჭოთა კავშირში პირველი მადალმთიანი ასტრონომიული ობსერვატორიის აშენება აბასთუმანში. და ეს ყველაფერი გაკეთდა ლავრენტი ბერიას ძალისხმევით! მაგრამ ყველაფრის შეჩერება მოუწია, რადგან დიდი სახელმწიფოს ინტერესი არ ამოიწურებოდა თუნდაც მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც პატარა საქართველოს ფარგლებში.

ამავდროულად, ლავრენტი ბერიასთან ერთად სკკპ (ბ) აპარატში საქმიანობდა მისი სრული **ანტიპოდი – ნიკიტა ხრუშჩოვი**. და თუ ბერიაზე მოთხოვნა განპირობებული იყო მისი იმ საქმიანი თვისებებითა და მაღალი პოლიტიკური და კულტურული დონით, რისი წყალობითაც ამიერკავკასიის ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა საქართველო 6 წელიწადში გახდა მოწინავე, ხრუშჩოვი კარიერულ გზას ინტრიგებითა და ნაძირალობებით მიიკვლევდა.

ამბობენ, რომ ერთხელ, საბჭოთა კავშირის მმართველობის ხრუშჩოვისეული სტილის განხილვისას ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა თქვა: "მე საბჭოეთის პრინციპული მოწინააღმდეგე ვარ და ვებრძვი მას. მაგრამ 25 წლის განმავლობაში მე იმდენი ზიანი არ მიმიყენებია საბჭოეთისათვის, რაც მას ხრუშჩოვმა მიაყენა".

ვინ ხარ შენ, ნიკიტა?

"სიცრუე და მზაკვრობა – მშიშრებისა და ნაძირალების თავშესაფარია".
ჩესტერფილდი

ალბათ ადგა დრო, გარკვეული ყურადღება დავუთმოთ იმ ადამიანს, რომლის პოლიტიკური და, უბრალოდ, ბიოლოგიური სიცოცხლისუნარიანობა სტალინის ეპოქაში დღემდე გაოცებას იწვევს. საინტერესოა, როგორ გაძვრა ხელისუფლებაში ეს მცირემცოდნე, არაფრის მაქნისი, ინტრიგებით, სისულელეებითა და ნაძირალობით აღვსილი პიროვნება?

მისმა მეგობრებმა, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე იყვნენ მოკალათებულები **ნკვდ-მვდ-მგბ**-ში – ეჟოვმა, სეროვმა, იგნატიევმა – საფუძვლიანად შეალამაზეს არქივი, სადაც მისი ბიოგრაფია ინახებოდა და მათი პატრონის ბიოგრაფიის ბნელი მხარეები ნათელი მაგალითებით **"გააცისკროვნეს"**. მაგრამ არაანგაჟირებული ხალხისა და თანამედროვე კეთილსინდიერ მკვლევრთა ძალისხმევით მაშინ შესაძლებელი ხდება იმ პიროვნების ბნელი მხარეებისათვის ნათელის მოფენა, რომელსაც "ხრუშჩოვად" ვიცნობთ.

ამის თაობაზე გაკვრითაა ნახსენები ნ.კ. ზენკოვიჩის წიგნში "ყველაზე ღირშესანიშნავი აღმონაცენები საბჭოთა კავშირში".

1938-1939 წლებში, როცა ხრუშჩოვი უკრაინაში მუშაობდა ცეკას პირველ მდივნად, შინაგან საქმეთა ახალმა სახალხო კომისარმა ბერიამ გადაწყვიტა მოეწყო უკრაინის ხელმძღვანელ მუშაკთა შემოწმება. შეგახსენებთ, რომ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა ძალოვანი და პარტიული ორგანოების წმენდა ეჟოვის მიერ ამ უწყებებში შემოთესლილი ხალხისაგან. ხრუშჩოვიც შედიოდა "ეჟოვის ხელთათმანების" ავტორის მეგობართა რიგებში, ამიტომ, მისი და მასთან დაახლოებული ხალხის შემოწმება განსაკუთრებული მონდომებით მიმდინარეობდა.

აი, მაშინ კი ბევრ ვინმეს ჩამოუვარდა სახიდან ნიღაბი. დასაწყისში აღმოჩნდა, რომ დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ზადიონჩენკო სრულადაც არ არის ის პიროვნება, როგორადაც იგი საკუთარ თავს ასაღებდა. აღსანიშნავია, რომ მაშინ დნეპროპეტროვსკის ოლქს უკრაინის ტერიტორიის მესამედი ეკავა – მის შემადგენლობაში შედიოდა ახლანდელი ზაპოროჟიეს ოლქის ტერიტორია, ხერსონისა და დონეცკის ოლქის ნაწილები – უკრაინის ყველაზე მსუყე რეგიონები, ბარაქის მომტანი, მჭიდროდ დასახლებული სამრეწველო ზონები.

ამრიგად, ზადიონჩენკო (ხრუშჩოვის საუკეთესო მეგობარი, რომელიც მან მოსკოვიდან წამოიყოლა) აღმოჩნდა არა დარიბი უკრაინელი ოჯახისშვილი, როგორც ეს მის ანკეტაში იყო აღნიშნული, არამედ იგი ყოფილა ებრაელი ზაიონჩიკი. მამამისი გახლდათ ებრაელთა სოციალისტური პარტიის "პაოლეი ციონის" აქტივისტი და, ამასთან, საკმაოზე მეტად მდიდარი ხელოსანი.

შემდეგი აღმოჩნდა ასევე ხურშჩოვის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი და ეჟოვის პროტეჟე – უკრაინის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი უსპენსკი. შემოწმებით დადასტურდა, რომ არც ის გახლდათ ის პიროვნება, რომლადაც თავს ასაღებდა. ითვლებოდა, რომ იგი იყო ტულის გუბერნიაში მცხოვრები მეტყევის შვილი. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ მამამისი გამოჩენილი შავრაზმელი გახლდათ, მეორე გილდიის ვაჭარი. და თვით უსპენსკიმაც, 15 წლის ასაკში, მოასწრო, რომ 1917 წელს მონაწილეობა მიეღო ფრონტისპირა ხაზიდან ევაკუირებული ებრაელების დარბევაში. ეს გახლდათ იშვიათი შემთხვევა რუსეთში ჩატარებულ სადამსჯელო ოპერაციებს შორის – მაგრამ უკრაინის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, 1938 წლის ნოემბერში გათამაშებული თვითმკვლელობის სცენის შემდეგ, გაიქცა და ხუთი ყალბი პასპორტით დაეხეტებოდა საბჭოთა კავშირში, ვიდრე არ დააპატიმრეს და დახვრიტეს.

დადგა ხრუშჩოვის ჯერიც. გაირკვა, რომ ხრუშჩოვის მამულეთში – კურსკის ოლქის სოფელ კალინოვკაში ადგილობრივი მცხოვრებლები ნიკიტა სერგის ძესა და მის დაიკოს მოიხსენიებდნენ უკანონოდშობილ შვილებად ადგილობრივი მემამულისაგან – პოლონელი ალექსანდრე გასვიცკისგან (ძველებური პოლონური გვარი, რომელიც 1670 წელს ჩადგა რუსეთის მეფის სამსახურში). ნიკიტას დედა – ქსენია (აქსინია) მოახლედ მსახურობდა ამ მემამულესთან. გასვიცკი ეხმარებოდა თავის შვილებს, ცდილობდა, რომ ნიკიტას განათლება მიეღო, მაგრამ უშედეგოდ – ნიკიტა მეტად გონებაჩლუნგი იყო. შემდეგ გასვიცკიმ ნიკიტა ჯარიდან დაიხსნა – 1914 წელს ნიკიტა 20 წლის ოყლაყი გახლდათ, მაგრამ პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობა მაინც აიცდინა თავიდან. შემდეგ გასვიცკიმ სარეკომენდაციო წერილი გაუგზავნა თავის იუზოვკელ ნაცნობს – გერმანელ მემამულე კირშს და ხრუშჩოვის ოჯახი ახალ ადგილზე გადასახლდა.

ნიკიტა კირშთან მუშაობდა მამულების მართვის ჯგუფში, მაგრამ თავისი გონებაჩლუნგობის გამო თავი ვერაფრით გამოიჩინა. ცნობილია მოლოტოვის ჩანაწერების ის ნაწილი, სადაც იგი ამბობს: "ჩვენ დიდი ხნის ძებნის მიუხედავად ვერ შევძელით აღმოგვეჩინა ის შახტი, სადაც ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი მუშაობდა" (ამას იმიტომ ვიხსენებთ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ხრუშჩოვი ამტკიცებდა, რომ იგი მუშათა კლასს წარმოადგენდა და მუშაობდა შახტებში).

შემდეგ ზენკოვიჩი თავის წიგნში იმოწმებს ხრუშჩოვის ერთ-ერთი საუბრის ჩანაწერს მაგნიტოფონზე. ხრუშჩოვი გაკვრით ამბობს, რომ სტალინმა იცოდა მისი ნამდვილი წარმომავლობის თაობაზე თვით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შემოწმებამდეც კი. აი, ეს ჩანაწერი:

"ერთხელ პოლიტბიუროს სხდომაზე გამოვცხადდი. მე ეჟოვის გვერდით ვიჯექი. სტალინი დარბაზში შემოვიდა და წამსვე ჩვენსკენ გამოემართა. ახლოს მოვიდა, მხარში თითი მატაკა და მკითხა:

– რა გვარი ხარ?

– ამხანაგო სტალინ, მე ხრუშჩოვი ვარ და ყოველთვის ხრუშჩოვი ვიყავი.

– არა, თქვენ არა ხართ ხრუშჩოვი, – იგი ყოველთვის ასე მკვახედ ლაპარაკობდა, – თქვენ არა ხართ ხრუშჩოვი.

და რაღაც პოლონური გვარი წარმოთქვა.

– რას ბრძანებთ, ამხანაგო სტალინ! დედაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალია... კურსკის ოლქში ასევე მწყობრშია ქარხანა, სადაც ბავშვობა გავატარე და ვმუშაობდი... ჩემი სამშობლოა კურსკის ოლქის სოფელი კალინოვკა...

– ამას ეჟოვი ამბობს.

ეჟოვმა იუარა. სტალინმა მაშინვე დაიმოწმა მალენკოვი. თქვა, რომ ეჟოვის აღნიშნული ეჭვი მას მალენკოვმა გაუზიარა, რომ ხრუშჩოვი პოლონური წარმოშობისაა და სრულიადაც არ არის ხრუშჩოვი".

(მეორე ვერსიის მიხედვით ნიკიტა სერგის ძე კიეველი ბანკირის სოლომონ პერლამუტერის შვილია: ესპანეთის ენციკლოპედიის ათტომეულში აღნიშნულია, რომ იგი არის ნიკიტა სოლომონ პერლამუტერი" (Nikita Solomin Pearlmutter).

აი, რას წერს ხრუშჩოვის ბიოგრაფიის კიდევ ერთი მკვლევარი გიორგი დოროფეევი. მან დაწვრილებით შეისწავლა კაგანოვიჩის მმუარები, რომელმაც გზა გაუხსნა ხრუშჩოვს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოვიყვანთ მისი ნაწარმოებიდან შემოკლებულ ფრაგმენტს.

1925 წელს ქალაქ სტალინოში (ყოფილი იუზოვკა – ამჟამად დონეცკი) ტარდებოდა საოლქო პარტიული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა უკრაინის კომპარტიის ცეკას გენერალური მდივანი კაგანოვიჩი. ლაზარ მოსეს ძე, როგორც ეს მაღალ ხელმძღვანელობას ეკუთვნოდა, პრეზიდიუმში იჯდა, ხრუშჩოვი კი, როგორც რიგითი დელეგატი, დარბაზში იმყოფებოდა. ამგვარი განლაგება ნიკიტა სერგეის ძეს ხელს არ აძლევდა. იგი ნაწყენი იყო და ყველასა და ყველაფერზე ბრაზდებოდა. ამას კი სერიოზული მიზეზი ჰქონდა. კონფერენციის დაწყებამდე იგი ჩართული იყო პრეზიდიუმის წევრთა სიაში. მას უკვე წარმოედგინა, რომ კაგანოვიჩის გვერდით იქნებოდა წამოჭიმული. ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ კაგანოვიჩმა მას ყურადღება მიაქციოს, მერე კი ყველაფერი შესაძლებელია... "სხვათა შორის, ყველაფერი შესაძლებელია, – ფიქრობდა ნიკიტა, – საჭიროა, რომ იგი კაგანოვიჩს მოეწონოს".

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,
(გაგრძელება იქნება)

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲗᲐᲜ

(მოგონების მოგონება)

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში მეგობარმა მაჩუქა სსრკ სახალხო არტისტის, აკაკი ვასაძის მოგონება – 1951 წლის შემოდგომაზე საქართველოს პარტიულ-სამეურნეო და კულტურული დელეგაციის შემადგენლობაში ლიკანში იოსებ სტალინთან შეხვედრის შესახებ.

აკაკი ვასაძის მოგონებიდან: ოქტომბრის შუა რიცხვებში, დილით სამსახურში მისულს შემატყობინეს, რომ მე, სპარტაკ ბაღაშვილი და აკაკი ხორავა თორმეტ საათზე უნდა მივსულიყავით ამხანაგ კანდიტ ჩარკვიანთან, სადაც დაგვხვდნენ ზაქარია ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგავა, ა. მგელაძე, რუხაძე, კარანაძე, პეტრე კაპანაძე და სპორტსმენი ცერაძე. ჩარკვიანმა გვითხრა: „ქალაქიდან ორი-სამი დღით გავდივართ. ამხანაგ სტალინის მიწვევით მივდივართ ლიკანში".

ლიკანში ორსართულიანი შენობიდან გამოვიდა იოსებ სტალინი. მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და შეგვიძღვა სასტუმრო ოთახში.

უცებ ფეხზე წამომდგარი სპარტაკის ომახიანი ხმა გაისმა. "ბატონო კობა"! სტალინი შეტრიალდა და ღიმილით უთხრა – „ჩემო სპარტაკ, მეგონა რომ ჩვენ ბატონები დავამარცხეთ, თქვენ კი..."

– მაპატიეთ ამხანაგო სტალინ, საქართველოში ერთმანეთს ტრადიციულად ბატონობით მივმართავთ, რადგან მივიჩნევთ მას მიმართვის კულტურულ ფორმად..."

აკაკი ხორავამ მისთვის ჩვეული ოსტატობით საუბარი უფრო მხიარულ ფორმაზე გადაიყვანა, კობაც ჩაება საუბარში, საქართველოში ყველა ტრადიციად ქცეული მოვლენები დაასახელა, მათ შორის გურული, კახური, იმერული, ერთი-ორი ანეგდოტიც კი თქვა, რამაც საერთო **„გამოფხიზლება"** გამოიწვია.

შემდეგ სუფრას მივუსხედით. სოსომ ჭიქა ღვინით აივსო, ფეხზე წამოდგა და თქვა: **„გულს მიხალისებს თქვენი აქ ჩამოსვლა, დიდ მადლობას გიხდით"**. ჭიქა დაცალა და როგორც მასპინძელმა პირველი დღის ვახშამს თვით სოსომ უხელმძღვანელა. თავისი თავმდაბლობით და უბრალოებით, ხავერდოვანი ხმადაბალი საუბრით ისე გავთამამდით, რომ ზრდილობის ფარგლებში გავმხიარულდით. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ კიდევ უფრო თავისუფლად რომ გვეგრძნო თავი, კობამ თავისი საყვარელი „შავო მერცხალო" წამოიწყო, მე ამხანაგებს თვალი მოვავლე და მივხვდი, რომ კობასთვის მხარი უნდა დამეჭირა და ჩემდა გასაკვირადაც კი საუკეთესო ბანით ჩინებული სიმღერა გამოგვივიდა.

მეორე დღეს საუზმეს პეტრე კაპანაძემ უხელმძღვანელა. სადილს – კანდიტმა, ვახშამს ხორავამ. მთელი დღის განმავლობაში საუზმისა და სადილ-ვახშამის შუალედებში მთელი დატვირთვით მიმდინარეობდა საქართველოს პრობლემებზე საკითხთა განხილვა. მოკლე ახსნა-განმარტებებით, განხილვა გაგრძელდა მესამე დღის სადილობის დრომდე. დღის წესრიგში შედიოდა თბილისის მეტროს, თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ბათუმის, ზესტაფონის და სხვა ქალაქებში რამდენიმე ქარხნისა და ფაბრიკის ტექნოლოგიური გადაიარაღების საკითხები. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო აფხაზეთის, როგორც ტურისტული ისე სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრის განვითარებას.

მეორე დღესაც ვახშამი გვიან ღამემდე გაგრძელდა. სოსომ ისე გაგვამხიარულა, ჩვენთან ყოფნით და მოლხენით, რომ დიდი იოსებ სტალინი კი არა ჩვენთან თითქოს ბავშვობის წლებიდან სოფლის ორღობეში ერთად შეზრდილები და ხმაშეწყობილები ვყოფილიყავით. **„აბა გურულო ჩხავერზე რას იტყოდით?"** ასე უშუალოდ მიმართავდა სპარტაკსა და ცერაძესაც, რომლებიც უფრო მორიდებულად გამოიყურებოდნენ. ეს მიმართვები ისეთი უშუალობით და სითბოთი იყო ნათქვამი, რომ სიტყვით ვერ გამომითქვამს და ალბათ სიცოცხლის ბოლომდე გამყვება. იმ ღამეს წინა ღამის უძილობით დილამდე მეძინა.

მესამე დღეს სადილის შემდეგ სოსომ კვლავ სასტუმრო ოთახში მიგვიწვია და ხალისიანად მოგვმართა: „ახლა კი ყველას გთხოვთ ვიყოთ გულახდილები, არ მოგერიდოთ, მთხოვეთ პირადად რა საკითხები გაწუხებთ და შეძლებისდაგვარად ყველას დაგეხმარებით, არ მოგერიდოთ, გისმენთ".

ჩვენ ყველამ დღეგრძელობა, ჯანმრთელობა, ბედნიერება და დიადი მიზნების განხორციელება ვუსურვეთ. სტალინმა ყველას თვალი შეგავლო. მიხვდა ალბათ, რომ გულწრფელები ვიყავით და ცერაძეს ღიმილით ჰკითხრა. „ვგრძნობ, რაღაც სათქმელი გაქვს, სთქვი ყურადღებით გისმენ". ცერაძეს სათხოვარი მართლაც ჰქონია, რომ მისი ახლო ნათესავი დახვრეტის მუხლით ყოფილა პასუხისგებაში მიცემული და ოთხად დაკეცილი ქაღალდი მიაწოდა სტალინს. სოსომ იქვე გაშალა და წაიკითხა, „მართლა რთულად ყოფილა საქმე", ბეჭებზე ხელი მეგობრულად დაჰკრა. „იმედი არ დაკარგო ჩვენი სასამართლო და პროკურატურა ჭეშმარიტებას დაადგენენ". ჩემსკენ შემობრუნდა და მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვიყავი ჩემი გვარიც და სახელიც კარგად იცოდა ისე, როგორც ყველა ჩვენთაგანის, მაინც ასე მომმართა: „აბა გურულო ვატყობ შენც რაღაც გაქვს სათხოვარი". მე განცვიფრებით შევხედე, თითქოს არავითარი მინიშნება არ გამიმჟღავნებია, როგორ მიმიხვდა რომ მართლაც, რაღაც მაწუხებდა. პირადად მე მხოლოდ თქვენს დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვთხოვ გამჩენს. მეტი არაფერი მინდა, ამხანაგო სტალინ, მაგრამ რაკი თქვენ მიბიძგეთ გავბედავ და გკითხავთ, როგორია თქვენი აზრი საქართველოს ტერიტორიული მდგომარეობის შესახებ? ჩვენი ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი მიტაცებული აქვთ თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს და თვით რუსეთსაც კი. სტალინი წუთით ჩაფიქრდა. პირდაპირ შემომხედა „მაგრამ საქართველომ ხომ მიიღო საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიაში? მართალია ამხანაგო სტალინ, მაგრამ თქვენზე უკეთ ვინ იცის ქართველი კაცის ბუნება. ქართველები სხვა ქვეყნებს ვერ ეგუებიან და ქლუხორიდან ყიზლარამდე, ყველა ადგილი დატოვა, ყიზლარს კი ცხვარისთვის ზამთრის საძოვრებად ვიყენებთ. სტალინმა ჩიბუხი გამართა, კვამლი გამოუშვა და დაბალი ხმით განაგრძო: „ეს მართლაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური თემაა, მე ამაზე ბევრი მიფიქრია. ამ საკითხის გადაწყვეტა დაგეგმილი გვქონდა გერმანიასთან ომის დამთავრებისთანავე, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა, დღეს ამ საკითხის მოგვარება თითის ერთი აქნევით შემიძლია, მაგრამ აქ კიდევ ახალ წინააღმდეგობას ვაწყდებით. თქვენს მიერ ჩამოთვლილი ტერიტორიების შემოერთებით ქართველი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოვჩნდებით და საფრთხე შეექმნება საქართველოს სახელმწიფოს დღევანდელი სახელით შენარჩუნებას. მიუხედავად ჩვენს მიერ ძვირადღირებული ღონისძიებების განხორციელებისა მრავალშვილანი დედების წახალისებით, საქართველოში დემოგრაფიული ვითარება უფრო გართულდა, რადგან ეს წახალისება ქართველ დედებზე ხუთ-ჯერ-ათჯერ მეტად გამოიყენეს სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა, თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოგვიხსნია. ჩვენ ამაზე დღესაც ვფიქრობთ და ამაში იმედი მინდა ვიქონიო, რომ საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხი მოგვეხმარება" და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა კანდიტ ჩარკვიანს. დუმილი ჩამოწვა. სტალინმა კიდევ გაიმეორა, „აბა მეგობრებო კიდევ ვის გაქვთ შეკითხვა?" სათქმელი აღარაფერი დამრჩა.

სოსო დაგვემშვიდობა. მანქანებს მივაშურეთ, ჩავსხედით, მაგრამ ვხედავდი ყველა უკან ვიხედებოდით. სიყვარულით გვიქნევდა ხელს ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი გორელი ბიჭი სოსო-სოსელო, კობა-იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი.

უსაზღვრო ემოციებით გაბრუებული დავბრუნდი თბილისში. კვლავ თვალწინ მიდგას იოსებ სტალინის სახე, როგორი სიყვარულით და სინანულით გვემშვიდობებოდა სანამ ჩვენი მანქანები თვალს არ მიეფარა. მაგრამ ყველაზე უფრო მაწუხებს ფიქრი იმაზე, რას ფიქრობდა იგი იმ წუთებში, როცა გვემშვიდობებოდა შეძლებდა კი ოდესმე ასე მოილხენდა ქართველებთან და ქართულ სუფრასთან? ამაზე ვფიქრობდი მეც ოდესმე კიდევ შევხვდებოდი მას ასე ახლოს? როგორი სიყვარულით მიგვიღო, გვიმასპინძლა, თავი გაგვიტოლა და ქართული სუფრის ყველა წესით მოგვემსახურა, ღამით როგორ ზრუნავდა, რომ არ შეგვცივნოდა, ამასაც ვფიქრობ და ბოდიშს ვუხდი გუნებაში ჩემი სითამამის გამო, როგორ კიდევ უფრო გაუმძაფრეთ მას ჩვენდამი, ყოველივე ქართულისადმი სიყვარული. ვაღიარებ და საქვეყნოდ ვაცხადებ. იოსებ სტალინმა ჩვენ თითქმის გაგვაიარაღა, საქართველოს უძველესი ისტორიის, მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის, ქართველი კაცის ბუნების, მისი შუქ-ჩრდილების, ოდინდელი ქართული ზნე-ჩვეულების, ათად-წესებისა და ტრადიციების საფუძვლიანი ცოდნით, რასაც ის ამჟღავნებდა ჩვენთან საუბრის დროს, მაგრამ ისეთი ტაქტით, რომ ჩვენ უხერხულობა არ გვეგრძო. ლიკანიდან დაბრუნების შემდეგ, დღემდე ყურებში კვლავ სტალინის ხმა ჩამესმის. პირადად მე აღტაცებაში მოვდიოდი რომ მას საქართველო არც ერთ ჩვენთაგანზე ნაკლებად არ უყვარს, ამის თქმის უფლებას მაძლევს თუ გინდ ის ორი სამი დღის განმავლობაში საქართველოს განვითარებისათვის მისი მონაწილეობით და მის მიერვე მიღებული ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დადგენილებები და გადაწყვეტილებები, მას ჩვენზე მეტად აწუხებს საქართველოს სიყვარულის ტკივილები, იოსებ სტალინის სიყვარულით გაჯერებული, ყოველდღე ძილის წინ და საწოლიდან ადგომისთანავე, უფალს ვევედრები, რომ სოსო ჯუღაშვილს არ მოაკლოს ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ბედნიერება ჩვენი ერისა და მსოფლიოს კეთილი ნების მშომელთა გადასარჩენად. ერთი თვის შემდეგ შევიტყვეთ, რომ ლიკანში მიღებული ყველა გადაწყვეტილება და დადგენილება, სტალინური პათოსით მოქმედებაში შესულიყო, ხოლო ცერაძის ნათესავისთვის დახვრეტის მუხლი, რვაწლიანი თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს. კანდიტ ჩარკვიანთან საუბარში სპარტაკის ჯანმრთელობაზე ზრუნვა დაუვალებია. კიდევ ვინ იცის რამდენის დაწერა შეიძლება 1951 წლის ოქტომბრის ამ ისტორიული მოვლენების შესახებ.

აკაკი ვასაძე. ნოემბერი. 1951წ.

ასე ამთავრებს თავის მოგონებას საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე.

რევაზ კიბორძალიძე,
შრომის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, თადარიგის პოლკოვნიკი

პოეზიის კუთხე

სადღეისო სატკივარი

ᲐᲠᲐ ᲪᲘᲚ ᲡᲬᲐᲛᲝ!

შემაძრწუნა მეუფე პეტრეს ბრალდებებმა უსათნოეს ქალბატონ შორენა თეთრუაშვილზე

ხვდება სოფელიც, ქალაქიც,
ბინძურად ადევს ლაქს ლაქი
და ქვეყნად ცოდვა მოდიდდა;
არ ეკადრება ჭყონდიდელს,
მის სახელს – დიადს ოდინდელს,
ჭორიკნობა და ლაქლაქი!
ნამდვილად გამკვირვებია,
ცოდვა რომ ჩაკირებია
და არ ეკრძალვის სამებას?
რატომ ჰგონია ცაავას,
რომ არ მოჰკითხავს ცა ავად
მოყვასზე ცილისწამებას?

ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ!

ყური მიუგდეთ
ყარაბას-ბარაბასს,
ვინც ჯოხი უხეშად
შემოკრა ბარაბანს,
ის იცავს ყვარყვარეს,
ის იცავს ბარაბას!
მე კი არ დავფიცავ,
სახალხო დამცველის
არც გვერდში დგომას და
არც დაცვას არ ველი,
რადგან არც ცისფერი,
არც გეი არა ვარ
და ლუკმა არ მახსოვს,
მიმეღოს არამად!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲑᲔᲚᲘᲐ

ᲭᲘᲭᲐ ᲨᲔᲒᲠᲩᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲚᲦᲐᲛᲘᲐ

ჭიქა შეგრჩა, მაგრამ მასში
სისხლიანი ბალღამია,
მიკვირს, სული სად დაკარგე?
გეკითხები, რა ხანია?
ნუთუ, ვერ გრძნობ, რა დღეშია
დღეს, სამშობლო საქართველო?!
ნუთუ, ვერ გრძნობ, ვალად გადევს
იგი შენ რომ გაამთელო?!
ნუთუ, არ გსურს, რომ პატარა
გაიზარდოს, გახდეს დიდი,
ნუთუ, არ გსურს შენ იმისთვის
მომავალთან იყო ხიდი?!
ნუთუ, თვალით ვედარ ხედავ,
ქვეყნად მეფობს ზიზღის ბინდი,
ნუთუ, ვერ გრძნობ, კაცსა კაცის
ადარა აქვს ცოდვის რიდი?!
ნუთუ, ფიქრობ ღმერთმა შეგქმნა
ამაობის იყო მზიდი,
ნუთუ, შენი ყოვან დღენით
გადაიწვი, გადაბჟირდი?!
ნუთუ, არ გსურს გაიხსენო,
თუ ვინ გყავდა წინაპარი,
ნუთუ, აღარ გინდა ხმალი
გინდა იყო შენც ვაჭარი?!
ნუთუ, აიეტის მოდგმა
გინდა სხვა ჯიშს დაამსგავსო,
ნუთუ, შენი კუჭის გამო
სიმართლის გზას დაემალო?!
ნუთუ, მართლა დაგავიწყდა
მშობელ დედის ძუძუს ნერწყვი,
ნუთუ, სულ მთლად დაიცალე,
სირცხვილ-ნამუსისგან ბერტყვით?!
ნუთუ, ვერ გრძნობ საქართველო
დაიქცა და დაილეწა,
ნუთუ, ვერ გრძნობ მდედრი მისი
აღარ ვარგა შვილის დედად?!
ნუთუ, ვერ გრძნობ მამაკაცი
გაუტოლდა ქალის ლეჩაქს,
ნუთუ, ვერ გრძნობ სიამაყით
ვეღარ იცვამს ფეხზე ჩექმას?!
აზრზე მოდი, შეაფურთხე
ეშმაკს შენსა შემზღუდველსა,
იქ თვალს როგორ გაუსწორებ
ვინც შეაკვდა სამშობლოსა?!
დედას შენსას ვით შეხედავ,
შენთვის ძუძუს მწოვებელსა
მამას თვალს ვით გაუსწორებ,
გვარში შენსა ჩამწერელსა?!
სიყვარული თუ არა გაქვს,
არცა დისა, არცა ძმისა,
რაღა გითხრა, არ გქონია
ქვეყნად ქენჯნა სინდისისა!

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲯᲘᲭᲘᲐ

დავით ქობალია: ვის სჭირდება მსოფლიო “კულტურტრეგერის” ფუნქციადაკარგული ევროპა?!

ჩემი ყურადღება მიიპყრო 15 მაისს, ინტერნეტსივრცეში გაჩენილმა ერთმა ვიდეომასალამ სათაურით, – **“აქ უკრაინა არ არის! 100.000-მა მაკედონელმა უარი უთხრა ამერიკის მიერ დაფინანსებულ მაედანს!”**

ვიდეომასალას კომენტარი ახლდა: **“მაკედონიაში ვითარება იძაბება. ოპოზიციის წინააღმდეგ და ხელისუფლების მხარდასაჭერად ქუჩაში 100.000 ადამიანი გამოვიდა. მათი თქმით, მაკედონია დარჩება ძლიერი, თუ რუსეთთან გაამყარებს ურთიერთობებს. აქციაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ქალაქ უვაროვში დაღუპული პოლიციელების ხსოვნას. – “არა ნატოს! არა ევროკავშირს! აქ უკრაინა არ არის, 100.000-მა მაკედონელმა უარი უთხრა ამერიკის მიერ დაფინანსებულ მაედანს”-ს – სკანდირებენ აქციის მონაწილეები. მიტინგი ბოლო წლების ყველაზე ფართომაშტაბიან აქციად შეფასდა.”**

მრავალ მიზეზთა გამო, ყოფილი იუგოსლავიის თემა ჩემთვის საგანგებოდ საინტერესოა, მე მას რამდენიმე საგაზეთო სტატია მივუძღვენი და ბუნებრივია, გვერდს ახლაც ვერ ავუვლი!

მიზეზთა გარდა, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დაწყებული, იუგოსლავიის დაშლით და უახლოეს მომავალში იუგოსლავიისვე ბედის გამზიარებელი უკრაინით დამთავრებული, ევროპაში განვითარებული პროცესები ცხადყოფენ რომ, – ევროპამ დაკარგა მსოფლიო “კულტურტრეგერის” ფუნქცია!

“კულტურტრეგერობა” მარტო ხელოვნებას, მუსიკას, ლიტერატურას, სახვით ხელოვნებას არ ნიშნავს. იგი ხალხთა და ქვეყნების ურთიერთობასა და მათ მშვიდობიან, ურთიერთპატივისცემითა და სიყვარულით თანაცხოვრებას და მის რეგულირებას გულისხმობს, რაც ნათლად ჩანს, რომ ევროპაში მოიკოჭლებს...

სიმართლე გამხელილი სჯობს, – ევროპას არც არავინ ეკითხება!

მახსენდება, გასულ წელს, გერმანიაში, ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრის შემდეგ, მასპინძელმა რესტორანში მიგვიწვია და იქ უფრო საინტერესოდ გაგრძელდა დისკუსია. ერთმა, ცოტათი ნაღვინევმა და ზომაზე მეტად გამხიარულებულმა სტუმარმა საოცარი რამ ბრძანა:

“– რაც უნდა გასაკვირი იყოს, დავითვალე და სასწაული აღმოვაჩინე, – გერმანიამ, 70 წელი უომრად გასძლო, მომავალი 30 წელი თუ ასე გაგრძელდა, მე და **“მშვიდობა გერმანიაში”** ასი წლისა ერთად გავხდებით!”

სასიამოვნო ხუმრობად ჩავუთვალეთ ნათქვამი, მაშინ, სადღეგრძელოს თამადას, სურვილის ასრულებაც ვუსურვეთ და თითქმის ყველამ ერთხმად აღვნიშნეთ, – დიდი გასაკვირი არ იქნება, ეს რომ, ასე მოხდესო!

მას შემდეგ, ერთი წელიც არ გასულა და მეეჭვება, რომ **“ეს ასე მოხდეს”** და, აი, რატომ:

– ე.წ. **“ბერლინის კედლის”** დაცემის და დასაწყისში შექმნილი ეიფორიის სწრაფად ჩავლის შემდეგ, ევროპაში, – ყოფილი სსრკ-ს ყველაზე ცუდი მოდელის შემოღებამ, **“უსაძირკვლო ევროგაერთიანების”** სახურავის ქვეშ უამრავი ქვეყნის მოქცევამ, ბევრი მისი წევრი ქვეყანა და ერი დააფიქრა:

– “ვინ ვართ ჩვენ დღეს და სად გაქრა ის, ვინაც ცოტა ხნის წინ ვიყავით?!”

ბუნებრივია, ამას, ევროეგიდით მოწვეულ კონფერენციებზე, რამდენიმე დღით ევროპაში ჩასული სტუმარი ვერ შეამჩნევს, მაგრამ, როცა ხანგრძლივად გიხდება იქ ყოფნა და ე.წ. **“ევროგაერთიანებაში”** შემავალი ხალხების ნაარზევს ისმენ, – თუ, რა მოუტანა მათ, ყოველგვარი იდეის გარეშე შექმნილმა კონგლომერატმა, – ნამდვილად გაგიჩნდება კითხვები და ღირს მათზე სერიოზულად დაფიქრება!

ნიშანდობლივია, რომ ოდნავ მაინც თუ სცილდება ადამიანის გონიერება კუჭის მოთხოვნილებას, მაშინვე შეატყობს, რომ, – გერმანელისთვის, ფრანგისთვის, იტალიელისთვის, ესპანელისთვის, ბერძნისთვის (განსაკუთრებით!), მაკედონიელისთვის (ასევე განსაკუთრებით!) და ა.შ... თურმე, ევროპელობაზე ძვირფასი, – გერმანელად, ფრანგად, იტალიელად, ესპანელად, ბერძნად (განსაკუთრებით!), მაკედონელად (ასევე განსაკუთრებით!) და ა.შ... დარჩენა ყოფილა!

ე.წ. **“ევროგაერთიანების”** შექმნის შემდეგ (განსაკუთრებით პირველ ხანებში) არა ერთი გერმანელი მინახავს, რომელსაც ამაყად უთქვამს, – **“მე გერმანელი კი არა ევროპელი ვარო!”**

ბუნებრივია, ამ განცხადებას ყოველთვის მოჰყოლია ჩემგან კითხვა:

– კი, მაგრამ, აქამდე ვინ გიშლიდათ ევროპაში მცხოვრებთ – ევროპელობას?

არ მახსენდება, ვინმესგან სერიოზული პასუხი მომესმინოს!

ბუნებრივია, დრომ თავისი განაჩენი გამოიტანა და თვალნათელი გახადა, – **“დემოკრატიის”** სახელით, მსოფლიოს “ახალი წესრიგის” და **“ხელახალი გადანაწილების”** ფარული დასაწყისი, არც **“ევროგაერთიანების”** შიგნით დარჩენილა შეუმჩნეველი. სწორედ ამან დააფიქრა ევროპის, ტრადიციის ერთგული ქვეყნები, რომლებიც მათდაუნებურად, ერთ მშვენიერ დღეს, უსახურ და უგარანტიო სახურავს ქვეშ აღმოჩნდნენ, რომელსაც **“ევროგაერთიანება”** ჰქვია!..

სამწუხაროდ, ამ განწყობას ჯერ არ მოუღწევია იმ ქვეყნებამდე, რომლებსაც, ორი ათეული წლის წინ, **“ნატოში”** და **“ევროგაერთიანებაში”** შესვლის **“ოცნების ვაშლი”** გადაუგდეს, რომელსაც ბრმად, მაგრამ გულმოდგინედ დააგორებენ ევროპასა და ამერიკას შორის.

სამწუხაროდ, ჩვენი სამშობლო, ერთ-ერთი ყველაზე ერთგული აღმოჩნდა უტოპიურ განზრახვას აყოლილთა შორის, რომელსაც შემდეგ დასკვნამდე მივყავართ, – სწრაფვა იმისკენ, რაც ნგრევადი და უპერსპექტივოა, გულახდილად ვიტყვი, ფულით მოსყიდულთა პროპაგანდის და უტოფარი აგიტაციის ნაყოფია, რომელიც უამრავ, გასაჭირისგან იძულებულ და სამარცხვინო გროშებს დახარბებულ მასას აიყოლიებს, როგორც ეს, ჩვენს სამშობლოში ხდება!

ამას წინათ, სოცქსელში გამოქვეყნებული ერთი ჩემი სტატიის კომენტირებისას, ახალგაზრდა კაცი მეკითხება:

– “ქართულ გზაში კონკრეტულად რას გულისხმობთ, თუ განმარტავთ საინტერესო იქნება.”

– შეკითხვა, საქართველოსთვის შემოთავაზებული, – **“ამერიკული, ევროპული და რუსული გზების”** უპერსპექტივობას და უარყოფას მოჰყვა, რომელთა ნაცვლად მკითხველს, – ქართული გზა და მისი ერთგულება შევთავაზე და იქვე მივაყოლე, – რომელიც არავის ახსენდება-მეთქი!

სწორედ ამას მოჰყვა, ზემოთნახსენები კითხვაც:

– ეს ის შემთხვევაა, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისა და მისი აბორიგენი მოსახლეობის, ქართველების, ისტორიული გზის უარყოფას და, – **“ევრო-ამერიკული”** გადაშენების პროექტის გამარჯვებას ნიშნავს!

ამ თემას მეტს არ განვაგრძობ, რადგან, იგი შემთხვევით ნანახმა, მაკედონიელთა უკიდურესად დაძაბულმა პროტესტმა განმიახლა, რომელიც შუაგულ ევროპაში ხდება!

– ევროპამ დღემდე ვერ მოაგვარა, ასი წლის წინანდელი, აფხაზეთივით, სამშობლოს მოწყვეტილი **“სამხრეთ ტიროლის”** პრობლემა და იგი ახალს ქმნის, ძველის გასანელებლად!

დიდი ხნის წინ ვწერდი: **“...როდესაც, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ე.წ. “სოციალისტური” ბანაკის ნგრევისას, “ამერიკული დემოკრატიის” ლოზუნგით, “ბებერი ევროპა” თავისსავე ნაწილს მიადგა ცეცხლით და მახვილით და ნანგრევებად აქცია იგი, მაშინ გამიჩნდა პირველი, სერიოზული ეჭვი, რომ – “ევრო-ამერიკული დემოკრატია” შორიდან პროგრესული ჩანდა, მაგრამ ახლოს რომ მივედი (კახელი მიხოს თქმისა არ იყოს), ყველა მასზე სუსტს ანგრევდა და სულიერად და ფიზიკურად რყვნიდა!”**

– ძლიერს კი მანამდე იმეგობრებდა, სანამ შესაფერის მომენტს მოუხელთებდა და ძირს გამოუთხრიდა!

– ასე წარმოიშვა, ყოფილი, აღმათ აშენებული იუგოსლავიის ტერიტორიაზე, როგორც ქართულ **“ვიკიპედია”**-შია განმარტებული: **“1990-იანი წლებიდან მოყოლებული ეთნიკური კონფლიქტების შედეგად ეს ფედერაციული გაერთიანება 5 სხვადასხვა სახელმწიფოდ დაიშალა და იმისდა მიხედვით, თუ დღეს ვინ, ან როგორ (რა კრიტერიუმით) დათვლის ამ სახელმწიფოებს, შეიძლება 6, ან 8 სახელმწიფო მივიღოთ. ესენია: სლოვენია, ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია, მონტენეგრო, სერბია და კიდევ 2 ავტონომიური პროვინცია: კოსოვო და ვოევოდინა.”**

მაკედონიელთა სამწუხაროდ, – ამერიკელთა თვალთახედვით, იგი, ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობის უკანასკნელი **“მეტასტაზია”** ყოფილი იუგოსლავიიდან დარჩენილი, რომელიც **“ევრო-ამერიკულ პროექტში”** ვერ თავსდება, ევროპის სინამდვილეში!

რას აკეთებს, ღრმთისმშობლის წილხვედრი საქართველო ამ შემთხვევაში?

– არაფერს! არც ეკლესია და არც ერობა, რადგან ერთიც და მეორეც თავჩაქინდრული ელოდება, – რას იტყვის მთავრობა და რა დირექტივა მოჰყვება მას, უცხოელთა, თუ **“უცხოპლანეტელთა”** მიერ დაპყრობილ ქვეყანაში!

მე არ ვარ ქართული ტელევიზიის მაყურებელი და ვერაფერს გეტყვით ახალს და გასაკვირს, მაგრამ, ის, რომ საქართველო ევროპელების გაკვირვებას **“ვითომ ევროპელობით”** აპირებს, უფრო ღმრთის სასჯელია, ვიდრე ღმრთის სამსახური!

– მითხარით, რა უნდა ითქვას იმაზე მეტი, რაც დეკანოზმა ანდრია კემულარიამ ბრძანა:

“ცოტა ხნის წინ ვნახე ევროვიზიაზე საქართველოს წარმომადგენლის გამოსვლის სურათები. თავად ევროვიზია, როგორც ცნობილია, პოლიტიკური შოუა და იქ ნამდერი არ მსმენია ჰიტად ქცეულიყო. მაგრამ, ამაზე არაა საუბარი. დემონის სახით გამოდის ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წარმომადგენელი. მის გამოსვლას იწონებს ქვეყნის მოსახლეობა და აღიარებს, რომ ასეთი სახით ქვეყნის წარმოჩენა ეთანხმება ერის შინაგან ორიენტირებს. იტყვის მავანი: ეფექტური სცენური სახეაო. არ არის ასე. ჩვენ იშვიათად ვფიქრობთ სიმბოლიკაზე, მის გავლენაზე ადამიანსა და ერზე. ყოველ სიმბოლოს თავისი ზემოქმედება გააჩნია, გამოხატავს კონკრეტულ სულიერ ღირებულებას და, მეტიც, მის უკან კონკრეტული სულიერი ძალა დგას. ასე რომ არ იყოს, არ იქნებოდა ჩვენთვის ჯვრის ხატება – სიწმინდე. როცა ვიწონებთ რაღაცას, ვეზიარებით იმას, რაც გამოიხატება, ვეთანხმებით იმას, როგორაც გამოიხატება. დემონური ხატება არ არის ის, რისი მორგება და მოწონება, თუნდაც ევროვიზიისმაგვარ სანახაობაზე, სიკეთეს მოუტანს საქართველოს. არადა, წესით, უცხოეთში შენი ქვეყნის საუკეთესო თვისებებსა და ღირებულებებს უნდა წარმოაჩენდე მაშინაც კი, როცა ეს იქ არავის ჭირდება. ყველაზე მეტად კი ის მაკვირვებს, რომ ამას ვერ ამჩნევს მრევლის ნაწილი. რაღაც დაგვიჩლუნგდა სულში”.

როგორც ზემოთ ვახსენე, აქტიური ტელემაყურებელი არ გახლავართ და ჩემდა სამარცხვინოდ არც ის ვიცი, ვინ წარმოადგენდა წელს ე.წ. **“ევროვიზია”**-ში საქართველოს, მე არც ის გამოსვლა მინახავს, მაგრამ, ის, რაც **“მამაოს”** ნათქვამში ამოვიკითხე, – მთლიანად ემთხვევა მომხდარისადმი ჩემს დამოკიდებულებას!

მას შემდეგ, რაც, გასულ წელს, ევროვიზიაში საშუალო სქესის **“კონჩიტამ”** გაიმარჯვა და მას უბათქუნებდა ტაშს, **“დემოკრატიული”** ევროპა (მათ შორის საქართველოც), – ევროვიზიაში გამარჯვება ან დამარცხება არც დიდ მწუხარებად და არც წარმატებად არ უნდა მივიღოთ, მაგრამ, აქამდე უნდა ამაღლდეს ქართული საზოგადოება და უპირველესად მისი ახალგაზრდული ნაწილი!

– მსგავს უზნეობას ებრძვის, ევროპის შუაგულში გაჩხერილი, მართლმადიდებლური მაკედონია, რომელსაც, რამდენიმე სახელმწიფო იჩემებს, ამერიკული პროექტისთვის კი მიუღებელია მისი არსებობა ევროპაში!

შემთხვევითი არც საბერძნეთის გაკოტრებაა, რომელსაც არც ტურისტი აკლდა და არც ბიუჯეტის პრობლემა ჰქონდა, სანამ უსახურ, ევროპულ **“სსრკ”**-ში უკრავდნენ თავს!

საბერძნეთის გაკოტრების და ე.წ. **“ევროგაერთიანებიდან”** მისი მოსალოდნელი გარიცხვის მიზეზი, ბერძნების მართლმადიდებლობაა, რომელსაც სხვანაირად ვერაფერი მოუხერხეს **“დემოკრატიისა და ხალხთა თანასწორობის”** თანამედროვე მედროშეებმა, – ევროპამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა!

...ყველასათვის ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა ფაშისტების ბედი გადაწყვეტილი იყო, საკითხავი და გადასაწყვეტი, მხოლოდ გერმანელი ერის ბედი და მომავალი იყო, აშშ-ს და ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ასეულობით ქალაქი და მჭიდროდ დასახლებული ადგილები მიწასთან გაასწორეს და მოსპეს წინააღმდეგობის გაწევის უუნარო მოსახლეობა, რაც დანგრეული გერმანიის ორ მესამედზე მეტს შეადგენდა. მე, ამ თემას ვრცელი სტატიები მივუძღვენი (იხ. გაზეთი **“ილორი”** №312 და №317) და აქ არ შევჩერდები!

– “მსოფლიოს ახალი გადანაწილების” მსურველებს ტრადიციად ექცათ, ჯერ უნდა დაანგრიონ, მიწასთან გაასწორონ და შემდეგ შემოდიან იმ ქვეყნებში ე.წ. **“ინვესტიციებით და აღმშენებლობის პროექტებით”...**

ასე მოხდა გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. სიმართლე უნდა ითქვას, ფული და ენერგია არავის დაუზოგავს დანგრეული გერმანიის აღსადგენად, მაგრამ აღდგა მხოლოდ მისი უსულო ნაწილი, – საცხოვრებელი სახლები, ფაბრიკა-ქარხნები, სოფლები, დაბები, ქალაქები, გაჩნდა უზარმაზარი მეტროპოლიები... მაგრამ, ქვეყანასთან ერთად განადგურებული სულის აღდგენისთვის არავის უზრუნია და არც უფიქრია!

– ესეც დიდი და ცალკე თემაა, ესეც სამომავლოდ შემოვიტოვოთ, ამჯერად ერთ საინტერესო შემთხვევას გავიხსენებ: ერთი ჩემი მეგობარი მომიყვა, იგი ცნობილი მუსიკოსია და დიდი ხანია გერმანიაში ცხოვრობს.

ერთხელ, მასთან სტუმრობისას ვკითხე, – შენთვის ალბათ ბედნიერებაა მუსიკის ჯადოქრების ქვეყანაში ცხოვრება და იყო მათი შთამომავლების მასწავლებელი ორჯერ მეტი ბედნიერებაა-მეთქი!

ჩემდა გასაკვირად, არ გამართლდა ჩემი **“აღმოჩენა”**!

“– პირიქით, ჩემო დავით, მე მსგავსი დაყრუებული საზოგადოება არ მინახავს, რომ არ ვიცოდე, – ბახი, ბეთხოვენი, ბრამსი, ვაგნერი, შტრაუსი, მენდელსონო, შუმანები... გერმანელები იყვნენ, ამათი შემხედვარე, ვერც წარმოვიდგენდი მუსიკის სამშობლოში ვარ-მეთქი!”

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, მივხვდი ერთ სამწუხარო საიდუმლოს, – შარშანდელი 31 დეკემბრის საღამო, ჩემთვის უჩვეულოდ, ტელეეკრანთან გავატარე. დილის სამი საათი სრულდებოდა, ლიხტენშტეინის დედაქალაქ ვადუციდან რომ დამირეკეს იქ შეკრებილმა მეგობრებმა, ახალი წლის დადგომა მომილოცეს და მისაყვედურეს, **– “ქართველები ახალ წელს ქართულად რატომ არ მღერიხართო?..”**

გამიკვირდა, მაგრამ ხუმრობად ჩავთვალე უცხოელი მეგობრების ნათქვამი. მაინც გულში ჩამყვა მეგობრების **“საახალწლო ხუმრობა”** და მეორე დღესვე, კომპიუტერში ვნახე რიყეზე გამართული კონცერტი, – სადაც, მართლაც, ქართული არავის გახსენებია, რომ იტყვიან, – ყველა ინგლისურად **“უბერავდა”!**

– “დამურების კონცერტი” ვუწოდე მას!

ამიტომ მოეჩვენათ ჩემს მეგობრებს ლიხტენშტეინში, რომ ჩვენ, ქართველები ახალ წელს ქართულად არ ვმღერივართ!

...ზემოთ, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ამერიკული ინვესტიციები ვახსენე, რომელსაც აღმშენებლობასთან ერთად, უამრავი მდარე ხარისხის ღირებულებები ჩამოჰყვა ევროპაში, განსაკუთრებით სულიერების სფეროში და ეს ყველაფერი იმდენად გულმოდგინედ კეთდებოდა, ეროვნულ გენოფონდგანადგურებულ გერმანიაში არავის ჰქონდა მისი კონტროლის დრო, – შესაძლოა უფლებაც!

ათეული წლების შემდეგ იჩინა თავი ამერიკული **“ფასეულობების”** იმპორტმა გერმანიაში და ზოგადად ევროპაში!

– პიჯაკზე გრძელმა პერანგმა და მუხლებგამობდღვნილმა შარვლებმა ჩაანაცვლა სმოკინგები და საბალო კაბები, ქალის სხეულის ვულგარულმა სიშიშვლემ, მდედრობითი სქესისადმი ლტოლვა გააუფასურა, საზოგადოებაში საშუალო სქესის გაჩენამ საბოლოოდ აჰყარა პატივი ადამის ძეთა მოდგმას!

70 წლის შემდეგ, იგივე მეორდება დღევანდელ საქართველოში, ოღონდ, გერმანელებისგან განსხვავებით, – არა დიდი აღმშენებლობის, არამედ შიმშილისგან თავის გადარჩენისთვის გაღებული გროშების სანაცვლოდ!

სწორედ ამას მიხვდნენ და უფრთხიან მაკედონიელები ევროპის შუაგულში!

ღმერთი იყოს მათი შემწე, თვითგადარჩენისთვის ბრძოლაში!

დავით ქობალია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში დახურული და ჯართის ფასად გაყიდული უნიკალური ქარხნები

განვითარებული სახელმწიფოს მთავარი მამოძრავებელი ელემენტი – ეკონომიკაა. მას კი მრეწველობაზე მეტად არაფერი ავითარებს. რამდენიც არ უნდა ვითვალოთ ჩამოსული ტურისტები ან ვიკამათოთ ღვინის ექსპორტის მნიშვნელობაზე, ისინი მხოლოდ ეკონომიური საჭიროების მცირე ნაწილია.

ეკონომიკის სტიმულირებისთვის მზა პროდუქციის წარმოება, მისი შიდა ბაზარზე და ექსპორტზე რეალიზებაა საჭირო. სხვა ბევრ ფაქტორთან ერთად, ყოველივე ეს ქარხნებსა და ფაბრიკებს საჭიროებს. ზოდადად, საინტერესო სახელმწიფო ვართ – ქვეყანას, რომელიც თითქმის არაფერს აწარმოებს (თუ ღვინოს, ბორჯომსა და პატარა-პატარა საწარმოებს არ მოვიყვანთ მაგალითად, სადაც მცირე რაოდენობის მუშახელია დასაქმებული), ეკონომიკის სამინისტრო აქვს. სულ რადაც 25 წლის წინ სრულიად განსხვავებული ვითარება იყო.

სსრკ-ს დროს საქართველო უდიდეს საწარმო სიმძლავრეებს ფლობდა. გვქონდა სხვადასხვა პროფილის მსხვილი მანქანათმშენებელი ქარხნები. პროდუქციის ნომენკლატურაში სამგზავრო გემები, სატვირთო ავტომობილები, ელმავლები და საბრძოლო თვითმფრინავებიც კი შედიოდა.

ფლაგმანის როლი, უდაოდ, თბილისის საავიაციო ქარხანას ეკავა. სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფი 15 რესპუბლიკიდან საავიაციო ქარხანა მხოლოდ ოთხს – რუსეთს, უკრაინას, უზბეკეთსა და საქართველოს ჰქონდა. თბილისში ქარხნის მშენებლობა 1941 წლის დეკემბერში დაიწყეს. სამამულო ომის წლებში 31-ე საავიაციო ქარხანამ ფრონტს 3 ათასამდე გამანადგურებელი თვითმფრინავი მიაწოდა. აღსანიშნავია, რომ ომის შემდეგ ჩვენი ქარხანა სსრკ-ს მასშტაბით პირველი იყო (!), რომელმაც სერიულად რეაქტიულ ძრავიანი გამანადგურებელი გამოუშვა. შემდგომ აქ აწყობდნენ ზებგერით გამანადგურებლებს, ბირთვულ ქობინიან ფრთოსან რაკეტებს, შეჯავშნულ მოიერიშეებს. არსებული გეგმა წელიწადში 100 საბრძოლო თვითმფრინავის დამზადებას ითვალისწინებდა. ქარხანაში 14 ათასამდე ადამიანი მუშაობდა.

არსებობის მანძილზე ამ ქარხანაში სხვადასხვა ტიპისა და მოდიფიკაციის 8 500-ზე მეტი თვითმფრინავი დამზადდა. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში საავიაციო მრეწველობა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.

დიდუბის მეტროსთან არსებულმა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ არსებობა დიდი ხანია შეწყვიტა. ერთ დროს აქ დამზადებული მაღალი სიზუსტის ჩარხებით მთელი სსრკ მარაგდებოდა. პროდუქცია ექსპორტზეც იგზავნებოდა. დღეს ქარხნისგან მხოლოდ დაცარიელებული და ნახევრად დანგრეული შენობებია დარჩენილი. იქ არსებული უნიკალური დაზგა-დანადგარები დიდი ხნის წინ ან თურქეთში გაყიდეს ან ჯართში ჩააბარეს (სხვათა შორის, იგივე ხდებოდა 31-ე ქარხანაშიც).

დაცარიელებული საამქროები კი საწყობებად და ავეჯის დამამზადებელ მცირე საწარმოებად გადაკეთდა.

ახალგაზრდებს ნაკლებად, მაგრამ უფროს თაობას ეცოდინება, რომ გადასასვლელი ხიდის მახლობლად, სადაც სავაჭრო ცენტრი "ქარვასლა" მდებარეობს, ოდესღაც 26 კომისრის სახელობის ქარხანა იდგა. საწარო მანქანათმშენებლობის პროფილის პროდუქციას უშვებდა.

დიდუბის რადიოქარხანას "უფრო გაუმართლა" – მის დანგრევას არსებული ფართების გასხვისება-გაყიდვა-გაქირავება ამჯობინეს. 1990-იანი წლების განუკითხაობის ჟამს ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო პოტენციალის შენარჩუნებისთვის არავის ეცალა. ხალხი, მათ შორის ამ ქარხნების დირექტორები და საწარმოების ხელმძღვანელი ჯგუფები, საკუთარი ჯიბეების გასქელებით იყვნენ დაკავებულნი. უნიკალურ აღჭურვილობას კაპიკებში, ჯართის ფასად ყიდდნენ.

რკინიგზის სავაადმყოფოს მახლობლად ერთ დროს მიონის უზარმაზარი ქარხანა იდგა. გასაიდუმლოებულ საწარმოში სამხედრო დანიშნულების მიკროსქემებს, სხვადასხვა რადიო და ელექტროაღჭურვილობას ამზადებდნენ. აქ დამზადებულ პროდუქციას საბჭოურ კოსმოსურ ხომალდებსა და წყალქვეშა ნავებზე ამონტაჟებდნენ. დღეს ოდესღაც უმნიშვნელოვანესი ქარხნისგან მხოლოდ ცარიელი გაყიდულ-გასხვისებული შენობებია დარჩენილი.

თბილისში მდებარე მანქანათმშენებლობის პროფილის ერთადერთი საწარმო, რომელმაც მეტ-ნაკლებად შეძლო წარმოების შენარჩუნება თემქის ელმავალმშენებელი ქარხანაა. ის 1939 წელს დაარსდა და 1957 წელს ელმავლების წარმოებაზე გადავიდა. საგულისხმოა, რომ ელმავლებს სსრკ-ში მხოლოდ სამი – დნეპროპეტროვსკის, ნოვოჩერკასკის და თბილისის ქარხნები უშვებდნენ. საერთო ჯამში თბილისში 4 500-ზე მეტი მაგისტრალური ელმავალი ააწყვეს. მათ შორის მუდმივ დენზე მომუშავე მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ელმავალი ВЛ15. 1983 წლისთვის წარმოების წლიურმა მოცულობამ რეკორდულ ნიშნულს – 138 ელმავალს მიაღწია. სამწუხაროდ, დღეს ეს მაჩვენებელი 5-10 ერთეულამდეა შემცირებული. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ქარხანას ბევრი საწარმო პროცესის ათვისება ნულიდან მოუხდა (ელმავლის გამზადებული ძარა ნოვოჩერკასკიდან ჩამოდიოდა).

დღეს ელმავალმშენებელი ქარხანა რუსული კომპანიის მფლობელობაშია. მთავარი პრობლემა დამკვეთის და, ამავდროულად, შეკვეთის შესრულებისთვის, მზა ნაწარმის მოძიებაში მდგომარეობს. საბჭოთა დროს ამ მხრივ საინტერესო სისტემა არსებობდა. კონკრეტული პროდუქტის – იქნებოდა ეს სამხედრო თვითმფრინავი თუ ელმავალი – მაკომპლექტებელი ნაწილები სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებიდან მოდიოდა. წარმოების ლოკალიზების ნაცვლად, ის მთელ ქვეყანაზე იყო გაშლილი. რესპუბლიკები ერთმანეთზე უნდა ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი. სსრკ-ს დანგრევასთან ერთად, ეს სისტემაც ჩამოიშალა და დღის წესრიგში მაკომპლექტებელი ელემენტების მიღების ალტერნატიული გზების მოძიების აუცილებლობა დადგა.

სსრკ-ს დანგრევის შემდეგ, თბილისში და ზოგადად საქართველოს მასშტაბით ფაბრიკა-ქარხნების გაჩერების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყო. ნედლეულის შემომტანი ერთ დროს მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცნენ. წვრილი თუ მსხვილი საწარმოები, რომელთა მთავარი დამკვეთიც პლანეტის 1/6-ზე გადაჭიმული უზარმაზარი სახელმწიფო იყო, მსოფლიო ბაზრის პირისპირ აღმოჩნდნენ. ზოგადად, ერთ დროს ძლიერი სამრეწველო პოტენციალის დაკარგვა-გაპარტახებაში მთავარი დამნაშავენი ჩვენ ვართ. ნაცვლად იმისა, რომ სსრკ-სგან მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას გავფრთხილებოდით და, თუნდაც, წარმოების მოცულობის განახევრების პირობებშიც მის შენარჩუნებაზე გვეზრუნა, პირადი კეთილდღეობის ინტერესი გამოძრავებდა. დღეს ჩვენი უგუნურობის შედეგს ვიმკით.

მოამზადა ნუკრი მგელაძემ

***"ᲝᲚᲝᲠᲘᲡ" კომენტარი – დაახლოებით შვიდი წლის წინ დავით ქობალიას პარტნიორი ესტუმრა გერმანიიდან. რამდენიმე დღე დაჰყო საქართველოში და შემდეგ მოსკოვში გაფრენა გადაწყვიტა. საქართველოდან რუსეთში რეისები არ სრულდებოდა და სტუმარი ერევანში უნდა ჩაგვეყვანა, საიდანაც მოსკოვისაკენ ფრენები ხორციელდებოდა. გზაში ვაკვირდებოდით და გამაოგნებელი რამ აღმოვაჩინეთ – სომხეთის ტერიტორიაზე კომუნისტების მმართველობის ჟამს აგებული საკოლმეურნეო ფერმები დაუზიანებლად იდგნენ და პატრონს ელოდნენ. ფერმებს ფანჯრებიც კი ჰქონდათ შერჩენილი, მაშინ, როცა საქართველოში იგივე მყარად ნაგები ფერმები აგურ-აგურ დაშალეს და ყველაფერ ძირფესვიანად მოაოხრეს.*

ამის შემდეგ კიდევ გვიკვირს, თუ რატომ გვენგრევა ქართველებს თავზე ქვეყანა.

ასევე, ამას წინათ ტელეარხ "ობიექტივს" მაყურებელი დაუკავშირდა და საოცრად გონებამახვილური შეკითხვა დაუსვა: "საბჭოთა კავშირი ნანგრევებიდან აღადგინა და გააძლიერა ორმა ქართველმა – სტალინმა და ბერიამ. საქართველოს პარლამენტში კი 150 ქართველი ზის და ხალხის საქმე წინ ვერ წაუყვანიათ!"

არიან კი ქართველები?

საკითხავი, აი, ეს არის!

როლანდ ჯალაღანია,
მთავარი რედაქტორი

ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲙᲔᲗᲣᲠᲘ?!

თურმე არსებობს მომთმენების უძირო ფიალა, რომელიც მხოლოდ ჩვენ, ქართველებსა გვაქვს. უფრო მართებული იქნება ვთქვა, რომ მოთმინების ფიალა შეგვიცვალეს. საყოველთაო, ჩვეულებრივი ფილას მაგიერ უძირო მოთმინების ფიალა უჩუმრად გადაგვინერგეს.

მაშ, როგორ ავხსნით იმას, რასაც ჩვენ ვითმენთ? ვითმენთ იმას, რასაც არც ერთი ერი არ მოითმენდა!

მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ილიას სახელობის უნივერსიტეტში ეშმაკი ბობოქრობს. სტუდენტებს ლექციებს უკითხავენ მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრები!!!

ჩვენ ამას ვითმენთ და შვილებს და შვილიშვილებს სასწავლებლადაც კი იქ ვაგზავნით.

ეშმაკშეჩენილთაგან ერთ-ერთმა, პროფესორმა გიორგი მაისურაძე „ფეისბუქ-პოსტზე" გამოაქვეყნა წერილი, რომელიც გაზეთმა **"ასავალ-დასავალმა"** შესაბამისი კომენტარებით დაბეჭდა.

მადლობა ღმერთს, პროტესტის ამგვარი ჰუმანური ფორმით დავკმაყოფილდით. სხვა ქვეყნებში სარწმუნოების, ღმერთის ამგვარი ლანძღვისთვის, მაისურაძის წერილს სისხლიანი ტერაქტების სერია მოჰყვებოდა!

აი, ეს წერილი შემოკლებით: **"...დღეს მართლმადიდებლობას იერიში მიაქვს თავისუფალ სიტყვაზე, თვითონ თავისუფლების უწმინდეს იდეაზე. არა საპატრიარქოს, არა რომელიმე მღვდელმსახურს, არა პარლამენტს და პოლიტიკურ პარტიებს, არამედ, პირველ რიგში სწორედ – მართლმადიდებლობას, ამ შავბნელ, რუსულ იმპერიალისტურ იდეოლოგიას".**

ეშმაკშეჩენილი აღნიშნავს, რომ მართლმადიდებლობა წინ ეღობება საქართველოში დასავლური ღირებულებების დამკვიდრებას და ჩვენ, ლიბერალისტები, საქართველოს ინტელექტუალური ელიტა, ჭეშმარიტი პატრიოტები ბოლომდე ვიბრძოლებთ მართლმადიდებლობის წინააღმდეგო!

ამრიგად, სულგაყიდულნი, თავიანთ თავს ჭეშმარიტ პატრიოტებსა და ინტელექტუალურ ელიტას რომ ეძახიან, ებრძვიან უძველეს ქართულ ლიტერატურას – ჰიმნოგრაფიასა და აგიოგრაფიას, ებრძვიან ალავერდს, ჯვარს, სვეტიცხოველს, ილორსა და ნიკორწმინდას... ებრძვიან ქართულ ფრესკულ მხატვრობას, ქართულ ტრადიციებსა და ცხოვრების წესს, ქართულ კულტურასა და ისტორიას...

პატივცემულო მკითხველო! ამაზე მეტი მტრობა იქნება რამე? ამაზე მეტი ცინიზმი და თავხედობა გსმენიათ?

ჩვენ ვითმენთ!

წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი კი მოგვიწოდებს: **"...როდესაც საქმე აშკარა უკეთურებასთან გვაქვს, მაშინ ცეცხლსა და მახვილსაც არ უნდა ვერიდოთ, არც დროისა და ხელმწიფეთა მოთხოვნებს დავემორჩილოთ."**

დუმს და ხმას არ იღებს საპატრიარქო, რომლის ერთ-ერთი მოვალეობა მკრეხელთა მხილება და უკეთურებასთან ბრძოლაა!

ჯერ კიდევ როდის, პრინცმა ჰამლეტმა თქვა: დანიის სამეფოში საქმე კარგად არ არისო!

კონჩიტებად აქციეს ვიკინგების შთამომავლობა!

ვიღაცეებს სურთ კონჩიტებად აქციონ სამასი არაგველის შთამომავლები!

ღმერთგამწყრალნო! ჩვენ კიდევ გვესმის ოჟა ჯურხაის ფარის ჟღრიალი და მეფე ერეკლეს ხმლის ავი სიმღერა! მართლა უძირო ხომ არა გგონიათ მოთმინების ფიალა?

წადით, წადით დასავლეთში და დატკბით დასავლური ფასეულობებით!

იქ ხომ ეკლესია ჯვარსა წერს ჯონის და გიორგი, ანჟელასა და ქეთინოს! შეიძლება საყვარელ ძაღლთან დაქორწინდე და მემკვიდრეობაც მას დაუტოვო ანდერძით!

წადით! თქვენი ადგილი კავკასიაში არ არის!

თენგიზ კუბლაშვილი

ილორი
ეროვნული საინფორმაციო

იმ ადამიანების ვინაობა, რომლებმაც ზვიად გამსახურდია გარიცხეს მწერალთა კავშირიდან

ეს წერილი არ გახლავთ გულის მოქავება – უბრალოდ, ყველა ადამიანს თავისი ცხოვრებისეული შლეიფი მოყვება და მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ – ვინ ვინ არის!

ამიტომ გთავაზობთ სტენოგრაფიულ ანგარიშს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა, რომელიც გაიმართა 1977 წლის 1 აპრილს:

გიორგი მერკვილაძე – კავშირის წევრად ყოფნა იმას ნიშნავს, რაც ევალება, უნდა დაიცვას, თქვენი პოზიცია ამას ეწინააღმდეგება, ბუნებრივად ისმება საკითხი, – თქვენი საქმიანობის შეფასება იმ მოვლენების გარეშე არ შეიძლება.

თქვენ თქვენი ნიჭით, თქვენი ოჯახის ტრადიციებით, რასაკვირველია, კავშირში უნდა იყოთ ჩვენთან და თქვენი პრაქტიკული საქმიანობა საწინააღმდეგოა ამისა, ამიტომ მეც მხარს ვუჭერ წინადადებას, რომ თქვენი კავშირში ყოფნა შეუთავსებელია კავშირის წევრის მოვალეობასთან.

გურამ ფანჯიკიძე – მე ვარ ძალიან ცუდ დღეში და ძალიან მიჭირს დღეს გამოსვლა, ვინაიდან ორი წელია მე და ზვიადი ერთმანეთს არ ველაპარაკებით, რადგან გვქონდა ძალიან დიდი ჩხუბი – ახლა არ მინდა, ამ გაჭირვებულ დროს ბრალმდებელი გამოვიდე, ვინაიდან არ დავემსგავსო ჩასაფრებულ მტერს. მიუხედავად ამისა, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს. ისე კი არსებობს წესდება. მაგალითად, პარტიიდან რიცხავენ კაცს, თუ სამი თვის საწევრო არ გადაიხადა, ვინაიდან ზვიადი არ ემორჩილება მწერალთა კავშირის წესდებას, არ იზიარებს მის პროგრამას, თვითონვე უნდა გასულიყო ამ კავშირიდან.

არჩილ სულაკაური – მეც იგივე მინდა ვთქვა, რაც გურამმა. მე და ზვიადს არა გვაქვს კარგი ურთიერთობა დიდი ხანია. მე, როგორც თქვენ, პირველად გავიგე პრესიდან ეს ამბები. მე პრინციპულად არ ვკითხულობდი, რასაც ეგ წერდა, მაგრამ ახლა რაღაცნაირად, ბატონი ირაკლის გამოსვლის შემდეგ, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო იმას, რომ პიროვნება უარყოფს, იმას ამბობს, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონია...

ზვიად გამსახურდია – კავშირი კი მქონდა, ჩემი მასალა დაბეჭდილია, ამას ყველა ხედავს, სად და როდის გამოდის, მე არ ვიცი.

არჩილ სულაკაური – ისიც მართალია, რომ სასამართლომ უნდა დაადგინოს. ზვიადი ისე უნდა მოსულიყო, რომ სასამართლოს დაემტკიცებინა ეს. ისე ვიზიარებ საერთო აზრს.

თამაზ ჭილაძე – ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს.

გურამ ასათიანი – ყველამ თქვა და მეც უნდა ვთქვა – ძალიან მტკივნეული საკითხია. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. მე არა მგონია, რომ დარბაზში იყოს მწერალი, რომელიც პირად მტრად თვლიდეს ზვიად გამსახურდიას. აქვე ითქვა და კიდევ მინდა გავიმეორო, რომ, რასაკვირველია, ჩვენი დღევანდელი საუბარი ნაგვიანევია. უნდა გვეცადა ყოველ ჩვენგანს (ჩემგან დავიწყებ), რომ ეს დღე არ დამდგარიყო. იმის მიხედვით, რაც მე მსმენია, რასაც გავეცანი გუშინ, მე შემექმნა ასეთი შთაბეჭდილება – მე ვფიქრობ, ის გზა რომელიც ზვიადმა აირჩია, მცდარია და სარისკო. ეს ის საქმიანობაა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ძალიან მწარე შედეგები, ისეთი სავალალო შედეგები, რომელსაც ერთი ადამიანის ცხოვრებაც კი ვერ გამოისყიდის. საბოლოოდ გავიმეორებ, ის, რაც აქ ითქვა, – ყველა ორგანიზაციას აქვს თავისი პრინციპები, თავისი წესდება და თუ რომელიმე უპირისპირდება ამ პრინციპებს, ის აყენებს თავს ამ ორგანიზაციის გარეშე. ზვიად გამსახურდიას ადგილზე მე პირადად უფრო ადრე დავწერდი განცხადებას იმის შესახებ, რომ გამოგვეყვანა კავშირიდან.

თავმჯდომარე – შემდეგ კიდევ ვის სურს გამოსთქვას აზრი?

ფრიდონ ხალვაში – ამხანაგები გამოვიდნენ. მე ვეთანხმები ამხანაგების აზრს. სხვა მხრივ საქმის კურსში მე არ ვარ, გარდა იმისა, რაც პრესაში იყო და უმრავლესობის აზრს ვუჭერ მხარს.

რომან მიმინოშვილი – ძალიან ძნელია ლაპარაკი. გვიან შემოვედი. აქ რაზე იყო საუბარი, მე არ ვიცი, მაგრამ რამდენადაც ვატყობ, პატივცემული ზვიადი უარყოფს იმას, რომ ეს გამოცემები მისი ინიციატივით ხდებოდა. პრესაში რაც გამოქვეყნდა მასალა, ეს მხოლოდ ნაწილია, რის საქმის კურსში შეიძლება იყოს განყოფილება. აქ რომ მოვდიოდი, მე ზოგიერთი რამ მოვიტანე (გადასცემს გრიგოლ აბაშიძეს) და ზოგი რამ გამგეს აქვს. ეს არის „თავისუფლების ტრიბუნა", სადაც დაბეჭდილია ზვიად გამსახურდიას სიტყვა და აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას გამოუქვეყნებელი ნოველა და რამდენადაც მე ვიცი, კონსტანტინე გამსახურდიას არქივზე არავის არ მიუწვდება ხელი. ეს არის ემიგრანტული ჟურნალი, რომლის სარედაქციო კოლეგიაში შედიან გ. წერეთელი, მ. ნოზაძე და... ზვიად გამსახურდიას ღია წერილი პროფესორ ლენგს.

ზვიად გამსახურდია – ეს ჩემია, მე ვაწერ ამას ხელს. ეს წერილი მე გავუგგავნე დევიდ ლენგს. ასევე ხვდება „თავისუფალ ხმაში" ყველაფერი. ვის მიაქვს, მე არ ვიცი.

რომან მიმინოშვილი – ამ „ოქროს საწმისთან" დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, „ოქროს საწმისში" არის კონსტანტინე გამსახურდიას გამოუქვეყნებელი ნაწარმოები. საიდან ღებულობს რედაქცია?

ზვიად გამსახურდია – მთელს ქალაქში დადის ეს.

რევაზ ჯაფარიძე – მეგობრებო, ალბათ თვითეული ჩვენგანი დათმობდა თავისი სიცოცხლის რამდენიმე წელს, რომ ეს ამბავი არ მოსწრებოდა. მე დავთმობდი რამდენიმე წელს, რომ არ მჭირდებოდეს აქ გამოსვლა. მე არ ვიტყვი რატომ, რა ურთიერთობა მქონდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, როგორ მიყვარს ზვიადი, მაგრამ აქ რომ ბრძანდებოდეს, ჩვენს პრეზიდიუმზე, ბატონი კონსტანტინე ისიც ასე იტყოდა. არსებობს წესდება და ფორმალური ლოგიკა მოითხოვს, როცა არ ეთანხმები ამ წესდებას, შენ თვითონ დასწერო განცხადება და არ ჩაგვაყენო ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში. კარგი იყო, რომ ზვიადს ასე გაეკეთებინა და ძალიან ვწუხვარ, და იძულებული ვარ ყველა იმის გამო, რაც ჩვენთან არის აქ, მხარი დავუჭირო ამ წინადადებას.

მურმან ლებანიძე – გაოცებული ვარ იმ მდგომარეობით და გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული და სამტკიცებელი ხდება ჩვენს სხდომაზე, როგორც ბატონი ზვიადი აცხადებს, არის თუ არა ის ყველა ამ მასალის ორგანიზატორი, რედაქტორი და რედაქტორ-გამომცემელი. თუ ის მარტო გურამ რჩეულიშვილის კეთილი მოსაგონარის ავტორია, მაშინ ულოგიკოა მისი გარიცხვა. მაგრამ თუ ის იმ ჟურნალის რედაქტორია, სადაც პროკლამაცია და მაღლაკელიძის მოსაგონარია დაბეჭდილი, მაშინ მისთვისაც და ჩვენთვისაც ნათელია, რომ ის გაირიცხება.

შოთა ნიშნიანიძე – ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რაც აქ ითქვა, თუ ეს ბრალდებები დოკუმენტირებულია, კარგია, თუ კი ზვიადი მოახერხებს თავის მართლებას, მაგრამ თუ ეს ვერ მოახერხა, მაშინ საჯაროდ, პრესაში აღიაროს შეცდომები, ეს ბევრ რამეს ნიშნავს.

ანა კალანდაძე – ბატონი მურმანისა არ იყოს, რა უნდა ვილაპარაკო, პირველი განცდა ის არის, რომ ბატონი კონსტანტინეს აჩრდილის წინაშე ვართ ყველანი უმძიმეს მდგომარეობაში და განსაკუთრებით მე. ზვიადი ნათლიმამაა ჩემი, ნათელმირონი მაკავშირებს. და რაც აქ ითქვა, იმან მე ცოტა იმედი მომცა. პირველი სამსჯავრო – ეს არის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი. ნუთუ არავინ დაიბარა, მარტო ჩვენ ვართ პირველები? შეიძლება მოხდეს სასწაული და ზვიადმა თავი გაიმართლოს და ამოვისუნთქოთ. შეიძლება მოხდეს ასეთი სასწაული და მე ამ სასწაულისა მჯერა.

დემნა შენგელაია – ამხანაგებო, ძნელია იმ ყმაწვილის მდგომარეობა და მისი გათვალისწინება ჩემთვის, რომლის ხელშიც ის გაიზარდა. სულ პატარა იყო, როდესაც კონსტანტინე მას თავს ევლებოდა და დღეს სულ სხვანაირად წარმოსდგა. საკმარისია ჩემთვის ის, რაც პრესაშია, ეს ისეთ ეჭვებს აღძრავს, აქ არავითარი სასამართლო დადასტურება არ გვჭირდება, ყველაფერი ნათელია. თუ ის გაიმართლებს თავს, ეს იქნება ბედნიერება, ეს იქნება მისი გადარჩენა და კონსტანტინეს გადარჩენა და გადარჩენა ჩვენი პრეზიდიუმის სახელის გატეხისა, ეს საკითხი ძალიან რთულია.

თავმჯდომარე – ამხანაგებო, თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენს ქვეყანას იმდენი მტერი ჰყავს, რომ მტრის გამოგონება კიდევ არავის არ სჭირდება და ვიდრე ამ საკითხს აქ მოვიტანდით, გვითხრეს, რომ ეს ფიქსირებულია. მაგრამ რაკი ზვიადმა ეს განაცხადა, ბევრი სიკეთე გვაკავშირებს მასთან, თუ კი ის იმ აზრისაა, რომ არ იზიარებს, რაც აქ არის და გაიმართლებს თავს ან დასწერს ეხლავე, რომ გმობს ყველაფერს...

ზვიად გამსახურდია – ყველაფერს არ ვგმობ. რაც მე დამიწერია, იმას არ ვგმობ. არავითარი ანტისაბჭოთა მე არ დამიწერია, მთავრობის წინააღმდეგ მე არაფერი დამიწერია. რაც შეეხება პროკლამაციას, ის მე არ მეხებოდა, არ ვიცი.

თავმჯდომარე – თუ თქვენ ცნობთ, რომ ეს არის ანტისაბჭოთა მოღვაწეობა, გმობთ და არ იზიარებთ...

ზვიად გამსახურდია – ყველაფერს როგორ ვგმობ, ჩემი თავის წინააღმდეგი ხომ არ ვიქნები? დამიწერია დავით გარეჯის ძეგლის მდგომარეობის შესახებ და სხვა ძეგლების შესახებაც და ამას ყველაფერს მე არ ვგმობ. ვგმობ იმ პროკლამაციას, რაც არის ანტისაბჭოთა, მე არაფერი დამიწერია.

გიორგი ჟორჟოლიანი – თქვენ განაცხადეთ, – არ იცით ამ ჟურნალის გამოცემა, სად იცემა და ვინ განაგებს და არც მოგწონთ. მაშ როგორ ბეჭდავთ? „ოქროს საწმისი" იხსნება თქვენი წერილით და ლექსით.

ზვიად გამსახურდია – ლექსი ჩემია, წერილი კი არა.

გიორგი ჟორჟოლიანი – ხელმოწერა არის ბატონი ზვიადის.

სერგი ჭილაია – ბევრ რამეზე ამბობს უარს და ეგებ დაწეროს.

თავმჯდომარე – ვინ არის მომხრე გაირიცხოს, გთხოვთ ასწიოთ ხელი, გთხოვთ დაუშვათ, ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. მაშასადამე წინადადება მიღებულია ერთხმად.

ალექსი გომიაშვილი – მოდით ორშაბათამდე მივცეთ ვადა, ორშაბათს თუ წარმოადგენს, ხელახლა შევიკრიბოთ და გადავხედოთ.

თავმჯდომარე – ჩვენ კენჭი ვუყარეთ და გავათავეთ და მე ვამბობ – თუ კი ზვიადი გამართლდება, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და არ იზიარებს იმ პროკლამაციის დაბეჭდვას და ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ჩვენ ყველანი დავუჭერთ მხარს მის კავშირში დაბრუნებას. ამით ჩვენი ეს დღევანდელი სხდომა დამთავრებულია.

აკაკი შანიძე – 130

...”ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული”...

როგორი დამაფიქრებელი და გულში ჩასაბეჭდი სიტყვებია... ეს მამულიშვილური და უგუნურთათვის შემაგონებელი სიტყვები სულკურთხეულ აკაკი შანიძეს ეკუთვნის... მე ასე ვიტყოდი: მეტი არაფერიც რომ არ გაეკეთებინა ამის მთქმელს – პირადად ჩემთვის ის უდავოდ და მაინც იქნებოდა ჩვენი ერის ერთ-ერთი საუკეთესო შვილი... წარმოიდგინეთ როგორი დიდი პატრიოტი და ეროვნული ერთიანობის სულისკვეთებით განმსჭვალული უნდა ყოფილიყო აკაკი შანიძე – ეს ტკივილიანი სიტყვები რომ აღმოხდენილიყო... როგორი, როგორი განსხვავებულია ის როგორც პიროვნება და როგორც ერისკაცი ბევრი ცენზიანი თუ უცენზო თანამემამულისაგან... ღმერთო ჩემო, ამ თვალსაზრისით როგორ არ ჰგვანან მას მისი წინამორბედი, თანამედროვე თუ მერმინდელი თაობების მარგალოფობთა ლეგიონების ტვინაფუებული წარმომადგენლები... როგორ, როგორ არ ჰგვანან ამ უბადლო მეცნიერს ჩემი მეგრული ენის, ჩემი ნანაშ ნინას სიკვდილის და გაქრობის მოსურნე ნამუსგარეცხილი და ტვინქექე ფსევდომეცნიერები...

...დიდი მეცნიერი აკაკი შანიძე... აკადემიკოსი აკაკი შანიძე... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი აკაკი შანიძე... ენათმეცნიერების კორიფე აკაკი შანიძე... ქართულ ენასთან ერთად გაქრობის ზღვარზე მყოფი მეგრულ-ლაზურ-სვანური ენების ქომაგი და მოამაგე აკაკი შანიძე...

...26 თებერვალი აკაკი შანიძის დაბადების დღეა... ის 130 წლის წინ 1887 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ქვემო ნოდაში მოევლინა ქვეყნიერებას და მისი სააქაო ცხოვრება 100 წელს გაგრძელდა... 1987 წლის მარტის 29-ში აღესრულა მენცართქურუმი... სულ მალე შესრულდება 30 წელი, რაც მარადიულობაში გადაბრძანდა კოლხურ-იბერიული მოდგმის ნიჭიერების, გონიერების ეს უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი და ერთ-ერთი ბოლო მოჰიკანთაგანი...

...გაანათლოს უფალმა ამ დიდი ადამიანის სული...

ღორონთქ განათას ათე ქვერსემი ადამიერიში შური...

ირიათონი გოშინა დო ჩხონაფა აკაკი შანიძეში...

ზურაბ კვარაცხელია

“რბილი, ბუზღუნა, მაგრამ უხმაურო ადამიანი” და დიდი მსახიობი – რატომ უჩივლეს გოგი გეგეჭკორს ქორწინების გამო?

დიდი ქართველი მსახიობი გიორგი გეგეჭკორი 94 წლის გახდებოდა

“თუ გიყვართ თქვენ სიცილი, გინდათ, გულიანად იცინოთ, თუ გსურთ, დატკბეთ კომედიის მსახიობის ბრწყინვალე ოსტატობით, მაშინ დაუყოვნებლივ შეეცადეთ, იშოვოთ ბილეთი რუსთაველის თეატრის სპექტაკლზე “ამბავი სიყვარულისა” და ნახეთ გიორგი გეგეჭკორი, რომელიც ამ სპექტაკლში ასრულებს ექვთიმე ქათამაძის როლს”

“ჩვენი პროფესიის საიდუმლოება იმაშია, რომ სცენაზე გამოსვლისას შენ გრძნობდე, თითქოს ამ როლს თამაშობ პირველად, როგორც პრემიერაზე. თუ ამ გრძნობას უმტყუნებ, მაშინ ეს როლი დაკარგავს თავის მშვენიერებას. ეს არის თეატრის მსახიობის სამზარეულოს საიდუმლოება – როგორც პირველად. ეს ძალიან ძნელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე ბევრი როლი ვითამაშე, ვცდილობდი ამ პრინციპის დაცვას. ახალგაზრდებსაც მოვუწოდებ, რომ ისწავლონ როლის პერსპექტივაში თამაში.

მე მოცულობით დიდი როლები მითამაშია. ამ როლებიდან ერთი ათი როლი ვითამაშე კარგად, დანარჩენი, როგორც პროფესიონალმა, საშუალოდ, ბევრიც – ცუდად. მე არ ვარ ის კაცი, ჩემი როლებით ვიტრაბახო... მაგრამ მე საგრიმიორო ოთახში რომ აღარ შემოვიდე, ჩემს სარკესთან რომ აღარ დავჯდე, გრიმი არ გავიკეთო, გათავდა, მაშინ წერტილი უნდა დამესვას. რა ვქნა, ჯერჯერობით ვარ აქ, ამ თეატრში და ვთამაშობ ცოტას...”

გიორგი გეგეჭკორი

გიორგი გეგეჭკორი დაიბადა 1923 წლის 23 თებერვალს პედაგოგ თამარ გელოვანისა და პოეტ ვლადიმერ გეგეჭკორის ოჯახში. მათთან ხშირად იყრიდნენ თავს ქართული კულტურის მოღვაწეები. საუბარი ძირითადად, ხელოვნებას შეეხებოდა. გიორგი ყოველთვის გატაცებით უსმენდა მათ, ფიქრობდა, კითხულობდა ქართული თეატრის შესახებ ყველაფერს, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ჩააბარა, 1944 წლიდან კი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი იყო.

სტუდენტობიდან მოყოლებული, კითხულობდა ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავ-არაკებს, ქმნიდა საინტერესო სახეებს რადიოდადგმებში. უფრო გვიან, როდესაც უკვე აღიარებული, პოპულარული მსახიობი გახდა, მის ცხოვრებაში ტელევიზია გაჩნდა. არც იყო გასაკვირი, რომ თავისი საქმის ოსტატი პირველი ნაბიჯებიდანვე ქართული ტელევიზიის მუდმივი თანამგზავრი გახდა.

მსახიობმა თეატრში 120-მდე როლი შეასრულა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მიხეილ მრევლიშვილის პიესა **“ბედი მგოსნისა”**, სადაც მან ნიკოლოზ ბარათაშვილი განასახიერა. ამას მოჰყვა მგელი **(“ჭინჭრაქა”)**, ჰამლეტი **(“ჰამლეტი”)**, ტიგრან გულოიანი **(“თეთრი ბაირაღები”)**, პლატონ სამანიშვილი **(“სამანიშვილის დედინაცვალი”)**.

1954 წელს პირველად გამოჩნდა კინოში. ის სიკო დოლიძემ მიიწვია ფილმში **“ჭრიჭინა”**, ლევანის როლზე, მერე კი იწვევდნენ საბჭოთა კავშირის კინოსტუდიებშიც.

გიორგი გეგეჭკორი გამოირჩეოდა უნარით ზუსტად, ზოგჯერ ფარული ირონიით, გროტესკით, ტრაგიზმითა თუ სევდით, გადმოეცა სათქმელი. მიიჩნეოდა მხატვრული თუ საავტორო ტექსტის საუკეთესო მკითხველად. მის მიერ შესრულებული სანდრო კარიძის როლი ფილმში **“დათა თუთაშხია”** საოცარი ნიჭიერებით გამოირჩევა. კინოში 50-მდე როლი ითამაშა, რომელთა შორის არაჩვეულებრივია როლი ფილმში **“არდადეგები”** – ალბათ, ბევრს ახსოვს ძაღლებით გარშემორტყმული მსახიობის განწირული ყვირილი: **“დათა, კაცო, შემჭამეს ძაღლებმა, გამომხედე!..”** და მიუხედავად პერსონაჟის შიშისა, ძნელია, არ გაგეცინოს.

ეპიზოდურ როლს თამაშობს მსახიობი კინოფილმში **“დათა თუთაშხია”**, მაგრამ იმდენად შთამბეჭდავია მის მიერ შექმნილი ქართველი პატრიოტის სახე, რომ მაყურებელი ემოციისაგან დიდ ხანს ვერ თავისუფლდება...

გიორგი გეგეჭკორის მეუღლე, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე, მისი სულიერი მეგობარი იყო. მიაჩნდა, რომ ნათელას ყველაფერი უნდა სცოდნოდა – რა აწუხებდა, რა ახარებდა, რას ფიქრობდა.

გოგი გეგეჭკორმა და ნათელა ურუშაძემ ერთმანეთი თეატრალურ ინსტიტუტში გაიცნეს და 1953 წლის მარტში იქორწინეს. სტალინი ახალი გარდაცვლილი იყო, ამიტომაც მხოლოდ ხელი მოაწერეს, ქორწილი არ გადაუხდიათ. არ გასულა რამდენიმე დღე და თეატრალურ ინსტიტუტში საჩივრის წერილი მისულა, სადაც ეწერა, მაშინ, როცა მთელი საბჭოთა ქვეყანა გლოვობს დიდი ბელადის გარდაცვალებას, თქვენი თანამშრომელი ბედნიერდებაო. პრორექტორმა არ იცოდა, რა ეპასუხა სტალინის გულშემატკივრისთვის, ნათელამ კი უცებ იპოვა გამოსავალი: მისწერეთ ამ ადამიანს, გლოვის დღეებში თუკი მუშაობდა მმაჩის ბიურო, ჩანს, იქ ხელის მოწერაც შეიძლებოდაო... ორი შვილი შეეძინათ: მანანა და გიორგი.

ნათელა ურუშაძე: “როდესაც დავქორწინდით, იგი თამაშობდა “ბარათაშვილს” და მე თამამად შემეძლო მეთქვა, რომ გავყევი რომანტიკული სულის პოეტს, მაგრამ გამოხდა ხანი და ეს პოეტი გადაიქცა მეგრულ მგლად “ჭინჭრაქაში”. აქ ერთი შევცბი, მაგრამ მე არ ვიცოდი, რა მელოდა. ცოტა ხნის შემდეგ იმავე სცენაზე დაიბადა მკვლელი, რეციდივისტი ტიგრან გულოიანი. ამას მოჰყვა ალქაჯი “მაკბეტში” და ვიფიქრე, ახლა მაინც დამთავრდა ჩემი გაწბილების პროცესი-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად – რუსთაველის თეატრის რეპერტუარში ჩაეშვა სპექტაკლი “შორაპნელი ქალბატონები”, სადაც გოგი საიქიოდან მოვლინებულ ადამიანს თამაშობს. ახლა თავად განსაჯეთ, რით დაიწყო და რით მთავრდება ჩემი ცხოვრების ეს ნაწილი... გოგი ყურადღებიანი მეუღლე და მამა იყო. არ მახსოვს, უცხოეთში წასულს ჩვენთვის არ ჩამოეტანოს უამრავი საჩუქარი”.

ვასილ კიკნაძე, თეატრმცოდნე: “გოგი გეგეჭკორთან ერთად 10 წელი ვიმუშავე რუსთაველის თეატრში. ეს იყო ბედნიერი წლები. რამდენი შემოქმედებითი და ადამიანური სიხარული მაჩუქა ბატონმა გოგიმ. მას სტუდენტობის წლებში შევხვდი. თეატრმცოდნეები დიმიტრი ალექსიძის სპექტაკლის, “დონ სეზარ დე ბაზანის” რეპეტიციებს ვესწრებოდით. გასაოცარი, მართლაც ზღაპრული, რადაც საზეიმო იმპროვიზაციების ფეიერვერკები იყო სარეპეტიციო პროცესი. დიმიტრი ალექსიძის იუმორი, სიტუაციების შეთხზვის უნარი, შთაგონება და გეგეჭკორის დონ სეზარის მოქნილი, დახვეწილი ელეგანტური მოძრაობა, ფორმათა უეცარი გათავისება, რეჟისორის ჩანაფიქრის ზუსტი ამოხსნა, იქვე ჩვენს თვალწინ ახალ ფორმათა თუ პლასტიკურ ნახაზთა შეთხზვა აღტაცებას გვგვრიდა სტუდენტებს. მაშინ ბატონი გოგი ხომ უპოპულარულესი ახალგაზრდა მსახიობი იყო, დავაჟკაცებული, მაგრამ ახალგაზრდა, 27 თუ 28 წლისა. ჩვენ გვხიბლავდა მისი მაღალი პროფესიული კულტურა და ეს ნამდვილი გაკვეთილი იყო სტუდენტებისათვის.”

გიორგი გეგეჭკორი გარდაიცვალა 2003 წლის 11 მარტს. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სააკაშვილს რომ მისთვის მისაღები პატრიარქი ჰაერივით სჭირდებოდა და სჭირდება, ამის მიზეზი ძალიან მარტივია

აკადემიკოს გურამ შარაძის შვილი რუსუდან შარაძე **„ასავალ-დასავალს”** საპატრიარქოში მიმდინარე პროცესებზე ესაუბრა:

– რუსო, პირველ რიგში იმ ფაქტზე მინდა გკითხოთ, რომელიც facebook-ზე დაწერე – უწმინდესის მოწამვლისა და მეუფე დანიელის გაპატრიარქების იდეა გურამ შარაძემ სააკაშვილს ჯერ კიდევ 2004 წელს ჩაუშალაო. გურამ შარაძემ **„ასავალ-დასავალს”** განუცხადა, რომ ეს უნდა მომხდარიყო გიორგობას, 23 ნოემბერს. რა იცი ამის შესახებ?

– სააკაშვილი, ე.წ. **თავისუფლების ინსტიტუტითა** და ა.შ. ორგანიზაციებით, ძალიან დიდი ხანია, თავს არ ზოგავს პატრიარქის ჩამოსაშორებლად. გურამ შარაძემ გეგმები არაერთხელ ჩაუშალა. იყო მოწამვლის და გადაყენების მცდელობები. ვიღაც იტყვის, პატრიარქის გადაყენების უფლება არავის აქვსო და მართალიც იქნება, მაგრამ მიშა როგორ სულ კანონებით მოქმედებდა, ვიცით. თან ეს უნდა ყოფილიყო „ნებაყოფლობითი” ნაბიჯი. მამაჩემი ამბობდა, რომ პატრიარქზე იყო ზეწოლა, გადადგომაზე თავად გაეკეთებინა განცხადება, მაგრამ ღმერთმა ეს არ დაუშვა. მამაჩემი აღარ იყო, მაგრამ ყველამ ვნახეთ, 2009 წლის 26 მაისს, როდესაც სტადიონიდან ხალხი სამებაში მივედით, როგორ შეუვარდა გიგი უგულავა პატრიარქს.

– ეს რომ ნამდვილად ასე იყო, კიდევ ბევრჯერ დადასტურდებაო, ამბობთ. რას გულისხმობთ? ანუ შესაძლოა პატრიარქს ემუქრება საფრთხე იმავე ძალებისგან, ანუ მიხეილ სააკაშვილისგან?

– სააკაშვილისგან საფრთხე თითოეულ ჩვენგანს სულ დაემუქრება, სანამ ბოლომდე არ იქნება **„განიარაღებული”**. ანუ სანამ ოფიციალურად არ დაუმტკიცდება, რომ ის არის კაცისმკვლელი, საკუთარი ხალხის მწამებელი, სამშობლოს გამყიდველი, ქვეყნის ბიუჯეტის შემჭამელი და ა.შ. და არ ჩაჯდება ციხეში, მაგრამ ნათქვამში ეს არ მიგულისხმია. **„არა არს დაფარული”** – ბევრი ალაპარაკდება, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

– რა იყო სააკაშვილის მიზანი, რატომ უნდოდა მეუფე დანიელის გაპატრიარქება?

– სააკაშვილს რომ მისთვის მისაღები პატრიარქი ჰაერივით სჭირდებოდა და სჭირდება, ამის მიზეზი ძალიან მარტივია – ხალხზე ზემოქმედება და საკუთარი მზაკვრული მიზნების შესრულება ხბოს აღტაცების ფონზე. იქ, სადაც წაგებული ომი აზეიმა ხალხს, რაღაზეა საუბარი?!

თუ როგორ წყევლიდა ზოგიერთი ე.წ. მეუფე ქადაგებების დროს ყველას, ვინც **„ნაცმოძრაობას”** – ანუ მკვლელებს – ხმას არ მისცემდა, ვინმეს თუ არ ახსოვს, მარტივად შეუძლია მოიძიოს, ინტერნეტი სავსეა დოკუმენტური მასალებით. მაგალითად, ქუთაისის ეპისკოპოსი (მეუფე კალისტრატე არაერთგზის ამხილა **“ილორმა”** სააკაშვილისადმი ღია მხარდაჭერაში), დასავლეთ ევროპის ეპისკოპოსი და ა.შ... აღარაფერს ვიტყვი დაბალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ ზოგიერთ პირზე.

ჩვენ ისე არ გამოგვივიდეს, რომ დროს ავცდეთ და დღევანდელი, კიდევ გაუარესებული პროცესები თვალთახედვიდან გამოგვრჩეს. თქვენს მიერ ჩამოთვლილ პიროვნებებზე გურამ შარაძე 14-15 წლის წინ საუბრობდა. მას მერე, სააკაშვილმა ბევრი **„ახალი თაობა”** გამოჩეკა, გამოწრთვნა და ჩანერგა ყველგან. ნამდვილად არ ვიცი დეტალები, მაგრამ ისევე როგორც მთელი საქართველო, მეც ვუყურებ და ვხედავ, ვინ რისი მკადრებელია. ეს ისეთი თვალხილულია, რომ დიდი ჭკუა და გამოცნობა არ სჭირდება, მთავარია, ადამიანი დაბრმავებული არ იყოს სიძულვილით. სულ ყველამ, საზოგადოების ყველა ნაწილში, თავი გამომაჟღავნა და სამწუხაროდ, ბევრმა მოიჭრა ეს თავი.

– გურამ შარაძეს დაზუსტებული ინფორმაცია ჰქონდა ამ ფაქტის შესახებ?

– სანდრა რულოვსის მოძღვარმა პეტრე ცაავამ ვითომ პატივისცემით მოიხსენია მამაჩემი, შეცდომაში შეიყვანეს ინტრიგანებმაო. – მოიგონაო – ამის თქმა ვერ გაბედა. გურამ შარაძე რომ შეცდომაში ადვილად შესაყვანი კაცი არ იყო, ყველაზე კარგად, ცაავას მოეხსენება. მამაჩემი არასდროს საუბრობდა მტკიცებულებების გარეშე და ხელში ყოველთვის კანონი ეჭირა. ის ათასჯერ გადაამოწმებდა ცნობას, სანამ საჯაროდ იტყოდა. მორალური თვალსაზრისითაც თუ შევხედავთ, გამორიცხულია, ასეთ სათუთ თემას ის ტყუილად არასდროს შეეხებოდა. დამეთანხმება ყველა, ვინც იცნობდა.

– ფიქრობთ თუ არა, რომ სწორედ ეს გახდა მისი მკვლელობის მიზეზი?

– არა, ეს ერთ-ერთი **„დეტალია”** იმ უამრავი საკითხიდან, რაც თქვენს გაზეთშიც არაერთხელ დაბეჭდილა. მკვლელობის მიზეზის ძიებას, საბოლოოდ, მაინც მის პიროვნებამდე მივყავართ. დანარჩენს, იმედი მაქვს, მამაჩემის მკვლელობის გამომძიებლები იტყვიან.

– ეთანხმებით თუ არა საზოგადოების იმ მოსაზრებას, ვინც ფიქრობდა, რომ ივანიშვილის ხელისუფლებას ეს ხუთჯვრიანი დროშა უნდა შეეცვალა?

– ვეთანხმები კი არა, ერთი სული მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჯერ ამ დროშის საქართველოსთვის ძალით თავსმომხვევი **„ნაცმოძრაობა”** უნდა გამოცხადდეს დამნაშავედ და მერე, ნელ-ნელა, ყველაფერი დალაგდება. ახლა რომ სიმბოლიკის შეცვლის პროცესი დაიწყოს, ჯერ ერთი, უზარმაზარი თანხებია საჭირო, ყველა სახელმწიფო დოკუმენტზე და არამარტო, ფიზიკურად ხომ უნდა გამოიცვალოს ძველი ახლით?! ამასთან, მგონია, რომ დღეს, ცოტა კომიკური იქნება დროშებთან ბრძოლა, თუნდაც, სამართლიანი ბრძოლა, მაშინ, როდესაც მკვლელები ქუჩაში არათუ თავისუფლად დადიან, ხელისუფლებაში დაბრუნების იმედი აქვთ და ამ მიზნის მისაღწევად, დღესვე ამოწყვიტავენ ნახევარ საქართველოს.

– საზოგადოებაში აზრი გაყოფილია, გაურკვევლობაა, ვის ინტერესში შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ყველაფერი, სააკაშვილის თუ დღევანდელი ხელისუფლების, რომელსაც უამრავი მიმართულებით პრობლემები აქვს?

– ჩემი გამოკვეთილი აზრი მაქვს, მაგრამ მაინც – დაველოდოთ გამოძიების დასრულებას და მერე უკეთ შეგვეძლება მოსაზრებების გამოთქმა.

– თუ ამაში ისევ სააკაშვილის ხელი ურევია, მაინც ეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა დღევანდელ ხელისუფლებას, რომელმაც ის და მისი სექტა არ დასჯა?

– რა თქმა უნდა, პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, რომლის ზოგიერთ წევრს დაავიწყდა, ვის სისხლზეა მოსული. მისი პასუხისმგებლობაა, რომ აქამდე არ დასაჯა სათანადოდ მკვლელი სააკაშვილი და მისი ბანდა, რომ დღეს ჩვენ მივიღეთ სახელგატეხილი ერი და ბერი. **„ერში”**, ხელისუფლებას, საკუთარი თავიც შეუძლია იგულისხმოს.

– შეიძლება თუ არა ვარაუდი, რომ ეს უკანასკნელი ფაქტი, წლების განმავლობაში მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის გაგრძელებაა და რაც მთავარია, ამ ფაქტით არ დამთავრდება?

– ჩემს თავს ვერ მივცემ უფლებას, რომ ამ თემაზე წინასწარმეტყველური განცხადებები გავაკეთო, მითუმეტეს, რომ არ ვიცი, რა იქნება. ის ვიცი, რომ მთელი არსებით მინდა, საქართველო ბედნიერი ქვეყანა იყოს, ხალხს უხაროდეს და უყვარდეს სიცოცხლე...

– პატრიარქი მოინახულა...

– ასე დაწოწიალობს დაუპატიჟებლად ყველგან, ხან ტრამპის ინაუგურაციაზეა ბუჩქებში მიმდგარი, ხან სად, ხან სად. სააკაშვილამდე რურუა იყო იქ. რა ამბავი მიუტანა, რატომ იყო? სულ ცოტა, სააკაშვილის ვიზიტი მოამზადა. იმან მეტი გარანტიისთვის, დედა იახლა თან. მორწმუნე დედა-შვილი ძალიან სასაცილოდ გამოიყურებიან, სასაცილოდ რომ გვქონდეს საქმე. თან ისეთი ვერაგია, დაამთხვია გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტის დღეს. სოციალურ ქსელში ვიღაცამ ერთი სიტყვა ჩააგდო, ერთმანეთს შეხვდნენო და მორჩა, ატყდა ერთი ამბავი. ასე უტეხს ყველას სახელს, ასე ასხამს ტალახს, ვის შორიახლოსაც კი გაივლის ეს არამზადა.

„რეპორტიორის” რედაქციისგან: აღნიშნული ინტერვიუ რუსუდან შარაძემ საკუთარ facebook გვერდზე გამოაქვეყნა. ინტერვიუს ეს ვერსია განსხვავდება გაზეთში დაბეჭდილისგან.

ეს არავინ იცოდა, თავად ფონდის გარდა – გოგა ჩანადირის ემოციური პოსტი

გაზეთმა **"ილორმა"** არაერთი წერილი უძღვნა ცადამაღლებულ მამა ანდრიას, რომელმაც გაუნელებელი სევდა დაგვიტოვა ადამიანებს.

ფოტოგრაფი გოგა ჩანადირი ფეისბუქის პირად გვერდზე ემოციურ პოსტს აქვეყნებს.

"მამა ანდრია 23 წლის გახდებოდა.

16 წლის იყო, ბერად რომ აღიკვეცა. მალევე გარდაიცვალა სიმსივნით.

მან დედას სთხოვა, რომ ტკივილი სიმსივნით დაავადებული ბავშვების მოვლით დაეძლია.

დედა თინათინმა თანამოაზრეებთან ერთად ბერი ანდრიას ფონდი ჩამოაყალიბა და დიდ დიღომში უმწეოთა თავშესაფარი გახსნა, რომლითაც ძირითადათ, რაიონებიდან ჩამოსული ბავშვები სარგებლობენ, რადგან მათ თბილისში დასარჩენი ადგილი არ აქვთ.

ფონდმა ბევრი ბავშვი სიკვდილს გამოგლიჯა. ბევრის სიცოცხლის ხარისხიც გაუმჯობესდა. და ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამ ფონდზე ზრუნავს, მაია ასათიანია. ეს არავინ იცოდა, თავად ფონდის გარდა. ის ყოველი ხელფასიდან აი, ასე, ჩუმად რიცხავდა ფულს. ასეთია სპარტაკ ცუცქირიძეც, ვისზეც ადრე ვწერდი.

ბერი ანდრია სიცოცხლეს აგრძელებს. ის ჩვენგან ელის მაიას და სპარტაკის მსგავს ადამიანებს, რათა ბევრი ბავშვი გადარჩეს", – წერს გოგა ჩანადირი.

P.S. ახლახან მაია ასათიანს 18 წლის ერთადერთი ქალიშვილი, პარიზში, მენინგოკოკური ინფექციის შედეგად გარდაეცვალა.

ამბობენ, შვილმკვდარი დედები მაღლა არ იყურებიანო. არ ვიცი რამდენად ლოგიკურია, მაგრამ ვეცადე ამ მოვლენისათვის ასეთი ახსნა მიმესადაგებინა: იციან, რომ მათი გარდაცვლილი შვილები ზეცაში არიან ანგელოზებთან ერთად და მაღლა ახედვას მხოლოდ იმიტომ უფრთხიან, რომ ეშინიათ – ვაი თუ ვერ დავინახოთო...

არც კი მინდა წარმოვიდგინო დარდისაგან გათანგული დედის განცდა, რომელსაც ერთადერთი შვილი გამოეცალა ხელიდან. რითი ვანუგეშო?

არ ვიცი!

ჩვენს ექიმებს ვუწუნებთ ხელობას და ავადმყოფისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში ვდებთ ხოლმე ბრალს, შუაგულ ევროპაში კი 18 წლის სიცოცხლით აღსავსე გოგონა ექიმების დანაშაულებრივ გულგრილობას ემსხვერპლა!

ახლა კი ეს ყველაფერი გვავიწყდება და მხოლოდ იმქვეყნიურ საქართველოში გადასული უმწიკვლო ბავშვის ნაღვლიანი გამოხედვა გვიფორიაქებს სულს!

დაგვავიწყდა ისიც კი, რომ მაია ასათიანი იმ ტელეარხზე მუშაობს, რომელიც ყველა ნორმალურის თვალსაზრისით ასევე ნორმალური საქართველოს დაუძინებელი მტერია.

ახლა გულის მოფხანის დრო არ არის, ახლა გლოვისა და თანაგრძნობის გამოხატვის დრო!

შვილმკვდარი დედა საკუთარ ჭირთან ისევე მარტო რჩება, როგორც თვით სიკვდილთან ადამიანი.

აკმაროს!

როლანდ ჯალაღანია

ეს ვიცი ჩემი კიეველი ქართველი ნაცნობებისგან – მამრაძე

"ბოკერია-უგულავას "რუსთავი 2"-დან ნამდვილად არაფერი ერგებათ", – აცხადებს **"მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის"** ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე თავის ერთ-ერთ ინტერვიუში:

"ყარამანაშვილები, ცრუმაგიური პირები არიან და სააკაშვილმა მათზე გადააფორმა "რუსთავი 2". შეგახსენებთ, სწორედ ძმები ყარამანაშვილები ხვდებოდნენ და აცილებდნენ სააკაშვილს კიევის აეროპორტში, როდესაც "ვარდების რევოლუციის" წინ დადიოდა მოსკოვში კიევის გავლით, იმისთვის, რომ მერე ეთქვა, რომ კიევში იყო და მოსკოვი საერთოდ არ ეხსენებინა. ეს ვიცი ჩემი კიეველი ქართველი ნაცნობებისგან, რომლებიც ამ სცენას რამდენჯერმე შეესწრნენ.

ბოკერია-უგულავას "რუსთავი 2"-დან ნამდვილად არაფერი ერგებათ. თუ ხალვაში მოიგებს სასამართლოს (რომელიც ასევე ცრუმაგიური პირი იყო) და ოქრუაშვილმა მართლაც გამოაჩინა რაღაც საბუთები, როგორც დაგვპირდა, მაშინ რა იქნება, ჩემთვის უცნობია. რაც შეეხება კეზერაშვილს, "რუსთავი 2"-თან დაკავშირებით იგი ვერაფერს ვერ იზამს, ვინაიდან სასამართლომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ ოფიციალური საბუთების საფუძველზე; ასეთ საბუთში კი კეზერაშვილი, რამდენადაც ვიცი, არ ჩანს.

სამაგიეროდ კეზერაშვილმა შეიძლება თავისი როლი შეასრულოს როგორც არაფორმალურმა დამფინანსებელმა. შეგახსენებთ, რომ სამფრანგეთში მისი დაკავების დროს, სააკაშვილმა მიმართა საფრანგეთის ხელისუფლებას მისი განთავისუფლების თაობაზე, ამ წერილში კეზერაშვილი სწორედ პარტიის მთავარ დამფინანსებლად მოიხსენია. რაც შეეხება კეზერაშვილის ფულს, ეს არის ის ფული, რაც სააკაშვილმა გააკეთებინა, როცა თავდაცვის მინისტრობის შემდეგ, სულ რამდენიმე თვეში კეზერაშვილი გავლენიან მულტიმილიონერ თუ მილიარდერ ბიზნესმენად მოგვევლინა. ჩემთვის ძნელი სათქმელია, რა პოზიციას დაიკავებს ამჯერად კეზერაშვილი, მაგრამ კარგად ვიცი, რომ იგი თავიდანვე პირადად მიშას კაცი იყო და ბოლომდე დარჩა იმ ერთ-ერთ ადამიანად, ვინც სააკაშვილს მერაბიშვილისა და ადეიშვილის კონტროლის გარეშე უკავშირდებოდა.

ამ დაყოფის დროს ფინანსურ ინტერესებს დიდი მნიშვნელობა აქვს – ამაზე ვრცლად ისაუბრა "ნაცების" ვეტერანმა ოთარაშვილმა, რომელიც დაგვპირდა, რომ ორ თვეში ისეთი სკანდალური ინფორმაცია გასკდება, რაც მოხდა, მხოლოდ ჟურნალად მოგეჩვენებათო. მინდა გითხრათ, რომ ბოლო წლებში "ნაცმოძრაობის" ელიტა იმდენად გათავხედდა, რომ მხოლოდ საკუთარ გამდიდრებაზე ფიქრობდნენ, ყველას ესმოდა, რომ მიშას საქმე წასულია და გამალებით ცდილობდნენ მაქსიმალურად გამდიდრებულიყვნენ. დღეს "ნაცმოძრაობის" "ელიტა" "გასულებიც" და "დარჩენილებიც" მილიონერები არიან, მაგრამ პოლიტიკის გულისათვის თავის ქონებიდან კაპიკსაც არ გაიღებენ, თუ არ ექნებათ გარანტია, რომ ასეთი ინვესტირებით კიდევ უფრო მეტ ფულს იშოვიან", – აცხადებს მამრაძე.

მართლაც, გაგიგონიათ ოდესმე, რომ ჩარჩ სომხებს სხვებისათვის სასიკეთო საქმე საკუთარი ფულით ეკეთებინოთ?

2 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ტელეკომპანია **"რუსთავი-2"**-ის ასპროცენტიანი წილი ქიბარ ხალვაშს და შპს **"პანორამას"** მიაკუთვნა. ასე რომ, ნაციონალებს მოუწიათ ხალხისათვის წართმეული კიდევ ერთი სიკეთის იგივე ხალხისათვის დაბრუნებამ, რაც მათ პროვოკაციულ გეგმებში აშკარად არ შედიოდა და ამიტომაც წიკვინებენ ასე გამწარებულები.

გვარამიამ კი განაცხადა, რომ თუ ხალვაში "რუსთავი-2"-ს გაყიდის, გავიჭირვებთ და ამ ფულს კოლექტივი გადაიხდისო. უტვინო გვარამია იმასაც კი ვერ ხვდება, რომ ამ განცხადებით მან აღიარა, რომ ტელეარხი მათ არ ეკუთვნის, რადგან თუ ჩემს კუთვნილ ქონებას სასამართლო ჩამომართმევს, მე მის დაბრუნებას სამართლებრივი წესით ვეცდები და არა ფულით. ფაქტია, რომ თუ მე ჩემთვის ჩამორთმეული ქონების გამოსყიდვას გადავწყვეტ, თავადვე ვადიარებ იმას, რომ ეს ქონება ჩემი არ იყო.

ასე რომ ნაციონალებს კიდევ ბევრი არამად წაღებული ქონების დაბრუნება მოუწევთ მისი კანონიერი მფლობელებისათვის.

მილიციის მაიორი „შავეთერას" თავგადასავალი

დღეს მორიგ სახალისო ისტორიებს შემოგთავაზებთ და სიტყვას კვირაობით **„დროებით დავიწყებულ"** თანამემამულე სამართალდამცველებს მივცემ, ანუ მათ, რომლებსაც გაგანია საბჭოთა კავშირის დროს ოფიციალურად მილიციონერები, ხალხის ჟარგონზე კი სხვა სახელი ერქვათ.

სისხლის სამართლის სამძებროს ლეგენდარული ქართველი მაძებარი, კოკა რუსაძე იხსენებს:

„მეოცე საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს ერთ ჩემს მდიდარ ბავშვობის მეგობარს (ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ) ბოროტმოქმედებმა 80 წლის ბებია მოსტაცეს და გამოსასყიდად 100 ათას მანეთს ითხოვდნენ. მე ამ დროს სამკვირიანი შვებულებით ვიმყოფებოდი თბილისში და ატირებულმა ძმაკაცმა ტელეფონში მითხრა: მართა ბებია გაიტაცესო. გამტაცებელს დაურეკავს და უთქვამს – 100 ათასი გაამზადე, დაგირეკავ და გეტყვი, ფული სად დადოო. თუ არ მოიტან, მოხუცს მოვკლავთო... ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოხუცის უკან დასაბრუნებლად და ბოროტმოქმედთა დასაჭერად ასეთი რამ მოვიფიქრე: როდესაც გამტაცებელმა კვლავ დარეკა, ჩემგან დარიგებულმა მეგობარმა მას უთხრა:

– ფული სამ დღეში მექნება, მოგვიანებით დამირეკე და მითხარი, სად დავდო. შენ კი დაუყოვნებლივ „ეხამ სიბელელუს" იყიდე აფთიაქში ტაბლეტებით და ბებიაჩემს დაალევინე, თორემ ხელში ჩაგაკვდება, ფულსაც ვერ მიიღებ და ხანამშრალი დარჩებიო...

ჩემ მიერ მოფიქრებული კომბინაციის აზრი ის იყო, რომ ბოროტმოქმედს არარსებული წამლის სახელწოდება ჩავაწერინეთ. თბილისში კი იმ პერიოდში სულ თხუთმეტიოდე აფთიაქი ფუნქციონირებდა. ყველა მათგანში ჩვენი თანამშრომელი ჩავასაფრეთ და „ეხამ სიბელელუსის" საყიდლად მისული ადამიანის მეშვეობით უნდა მიგვეგნო მართა ბებიისთვის.

– რატომ მაინცდამაინც „ეხამ სიბელელუს" და არა სხვა სახელწოდება? – დაინტერესდა ჩემი მეგობარი, მე კი მივუგე:

– „ეხამ სიბელელუს" კარგად ჟღერს ლათინურად, მაგრამ მთავარი სხვა რამაა. ცოტაც მოითმინე და სულ მალე ყველაფერს გაიგებ-მეთქი.

და მართლაც, სულ რაღაც ორიოდე საათიც არ იყო გასული, რომ პლეხანოვზე მდებარე აფთიაქში „ეხამ სიბელელუსი" იკითხეს. მილიციამ ის მაშინვე დააკავა, შემდეგ მისი თანამზრახველები მოიხელთეს და მართა ბებიაც მშვიდობიანად დავაბრუნეთ შინ.

– აღარ იტყვი, რატომ მაინც და მაინც „ეხამ სიბილელუს"? – მკითხა ჩემმა მეგობარმა, როდესაც საყვარელი ბებიის ფერებით გული იჯერა.

„ეხამ სიბილელუს" – დავწერე დიდი ასოებით ფურცელზე და ჩემს მეგობარს ვუთხარი:

– ახლა ეს მარჯვნიდან მარცხნივ წაიკითხე-მეთქი...

„სულელების მახე" – წაიკითხა ჩემმა მეგობარმა მარჯვნიდან მარცხნივ არარსებული წამლის სახელწოდება, რომელმაც ბოროტმოქმედები მახეში გააბა.

მილიციის პოლკოვნიკი სოსო მირიანაშვილი ასეთ ისტორიას იგონებს:

„ძველი თაობის ხალხს კარგად ემახსოვრება მილიციის სამმართველოს ცნობილი ოპერი ქალი, მილიციის მაიორი ეთერ გოგუაძე, რომელსაც შავგვრემანობის გამო „შავეთერას" ვეძახდით. ერთხელ შავეთერა დადარდიანებული გამოცხადდა სამსახურში და მიზეზი რომ ვკითხე, რადგან ახლომეგობრული დამოკიდებულება გვქონდა, პირდაპირ მითხრა:

– ჩემს ქმარს კუჭ-ნაწლავი აწუხებს, გაუვალობა სჭირს და იმის მაგივრად, რომ ექიმთან წასულიყო, არ დაიშალა და ფოთში, მივლინებაში წავიდა ქუჩებიდან წყლის ამოსაკაჩავებლადო.

ერთი სიტყვით, შავეთერა ძალიან შეწუხებული იყო ქმრის მდგომარეობით და ნახევარი დღე იდარდა, თან ამბობდა, ნეტავ, როგორაა ახლა ჩემი ნუგზარი, წყლის კაჩაობის დროს ნაწლავები არ გადაეხლართოსო... უცებ, ჩვენმა ოპერჯგუფმა, სადაც შავეთერა უფროსი იყო, სამმართველოს უფროსისგან დავალება მიიღო, რომ გლდანის მასივში, ერთ-ერთ ბინაში მეძავების „პრიტონი" იყო და ყველანი უნდა დაგვეპატიმრებინა და სამმართველოში მიგვეყვანა. ადგილზე უხმაუროდ მივედით. კარი სპეციალური მოწყობილობით შევამტვრიეთ და ბორდელში შევვარდით... კარგი გარეგნობისა და სინაზის მიუხედავად, საქმის დროს ეთერ გოგუაძე ძალიან მკაცრი, უხეში იყო და დაკავებულების ცემა-ტყეპაც კი იცოდა... პირველმა მან შედგა ფეხი პრიტონში, თან იგინებოდა და მეძავებს სახეში სილას უტყლაშუნებდა. უკან მე მივყვებოდი და ერთ-ერთ „სპალნაში" რომ შევედით, ეთერს სახე გაუქვავდა – ქალისა და მამაკაცის შიშველ წყვილს გაოგნებული უყურებდა. მერე უცებ გამოერკვა, მეძავს ზურგში გაშლილი სილა ჩაარტყა და იქვე დააგდო. შიშველ მამაკაცს კი ეცა და სულ წიხლები ურტყა „სუსტ ადგილებში", თან უყვიროდა:

– ფოთში ხარ, ხომ, ფოთში! წყლის ამოსაკაჩავებლად, შე საოხრეგასახმობო, გათახსირებულო...

ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა, რომ საოხრეგასახმობი, შიშველი მამაკაცი ნუგზარა, შავეთერას ქმარი იყო და ცოლმა ისე სასტიკად სცემა... ხელიდან ძლივს გამოვგლიჯეთ".

დღევანდელ „კრიმინალურ" მოგონებებს ბატონი ომარ ნოზაძე დაასრულებს.

„შინაგან საქმეთა მინისტრი, კონსტანტინე კეთილაძე ყოველ ორშაბათს ოპერატიულ თათბირს მართავდა, რომელსაც მილიციისა და განყოფილების უფროსები ვესწრებოდით. ერემიჩს (კეთილაძეს) სიზუსტე უყვარდა. ცხრას რომ თხუთმეტი წუთი დააკლდებოდა, ის პირადად შედიოდა საკონფერენციო დარბაზში და ყველაფერს ამოწმებდა. ჭაღზე ერთი ნათურაც რომ ყოფილიყო გადამწვარი, კეთილაძე ძალიან გაბრაზდებოდა. ამ ყველაფერზე ზედამხედველობა კი ვალოდია კოკოევს ევალებოდა. ვალოდია ადრე გამომძიებელი იყო, მაგრამ, შეცდომით დასახვრეტი პატიმარი გაათავისუფლა. ამიტომ, მინისტრმა ის სამეურნეო ნაწილში გადაიყვანა და ვალოდია კეთილაძის ყოველ დავალებას უსიტყვოდ და ზუსტად ასრულებდა.

საკონფერენციო დარბაზის შესასვლელში ლენინის ძეგლის ათკილოგრამიანი ბრინჯაოს ასლი იდგა, სწორედ ისეთი, ახლანდელ თავისუფლების მოედანზე რომ იდგა ადრე. ერთ დილას, როდესაც კეთილაძე საკონფერენციო დარბაზის შესამოწმებლად შევიდა, შემთხვევით ამ პატარა ძეგლს დაეჯახა, გადმოაგდო და ფეხზე დაეცა. ერემიჩი ისე გამწარდა, რომ აყვირდა:

– ვალოდია, ვალოდია, მომაშორე ეს საზიზღარი აქედან, ჩემმა თვალებმა არ დაინახოს. ქალაქში აღმაშენებლის ძეგლი არ დგას და ლენინის მოედანზე უზარმაზარი ქანდაკებაა წამოჭიმული!

კოკოევმა სასწრაფოდ შეასრულა ბრძანება და წავიდა. კეთილაძემ სული მოითქვა და თათბირი დაიწყო. ერთი საათის შემდეგ „ვეჩემ" (მაღალსიხშირიანი სპეცტელეფონი) დარეკა. მინისტრმა ყურმილი აიღო და ეტყობოდა, რომ პირველმა მდივანმა შევარდნაძემ დაურეკა, რადგან ასე დაასრულა საუბარი: „კარგი. გასაგებია, ამბროსოვიჩ..." შემდეგ გაფითრებული წამოხტა სკამიდან და მეც თან გამიყოლა.

მინისტრის მანქანით ლენინის მოედნისკენ გავქანდით. მივედით და რას ვხედავთ, მანქანების მოძრაობა გაჩერებულია. ლენინის ძეგლს ორი უზარმაზარი ამწე მიდგომია და ვალოდია მას ტროსებს აბამს, თან ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებს ეჩხუბება, რომლებიც მას ამის გაკეთებას უშლიან. ერთი სიტყვით, ვალოდია კოკოევმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო კეთილაძის სიტყვები და გაგანია სოციალიზმის დროს, ლენინის ძეგლის დემონტაჟს აპირებდა".

სანტიაგო გაუჩო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ანბანის არსი

ნუგზარ თუშიშვილი მრავალმხრივი შემოქმედია. მის პიროვნებაში ჰარმონიულად თანაარსებობს კომპოზიტორი და პოეტი. ამასთან ერთად, ის ბუნებას ადამიანური ღირებულებებითა და ჰუმანურობითაც დაუჯილდოვებია. შემთხვევითი არაა, რომ მისი კომპოზიციები უფლის, სამშობლოსა და ადამიანისადმი უზაზღვრო სიყვარულის გამოძახილია.

დიდი ხანია, ნუგზარ თუშიშვილის სიმღერებმა მხატვრული აზროვნების სფეროში შეაღწია და საყოველთაო აღიარება მოიპოვა (**„ფსოუს წყალი“, „ფოთოლცვენა“, „ფანტელები“, „ნიკალა“, „ჩემო თბილის ქალაქო“, „ბათუმი“, „უფალო შემიწყალე“, „დიდება საქართველოს“, “საქართველო მრავალჟამიერ”, „საგალობელი“,”ისმინე ჩვენი ვედრება“, „დამჭკნარ იებს“, „მე შენ მიყვარხარ“, „ვითარცა მტკვარი“** და ა.შ.).

ვფიქრობთ, მისი პოეტური სულიერი განცდები ისეთივე თანაგანცდას გამოიწვევს და ბედნიერებას მიანიჭებს ქართველ მკითხველს, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანის მიერ შექმნილი დაუვიწყარი მუსიკალური ნაწარმოებები.

ბესიკ გვაზავა

ქართული ანბანის არსი – ავტორისეული ვერსია

ა – ასრულდა წმინდა წერილი,
ბ – ბეთლემში იშვა მესია,
გ – განათდა ცაზე ვარსკვლავი,
დ – დალოცა ღვთის ეკლესია.
ე – ეს სასწაული მაღლიდან
ვ – ვირწმუნეთ ნებად მამისა,
ზ – ზეციდან ისმის დიდი ხმა
თ – თივაზე იშვა ყრმა ღვთისა.
ი – იხარეთ ყველა მოყვასნო,
კ – კარი გაიხსნა სამყაროს,
ლ – ლუციფერია ცხოვრება,
მ – მაცხოვრის რწმენა ვატაროთ.
ნ – ნერგი დაირგო სიკეთის
ო – ორიათასი წელია,
პ – პატიოსნება გვეძახის,
ჟ – ჟამს: უფლის მოსვლის ელიან.
რ – რას მოგვიწოდებს იესო,
ს – სიყვარულს მივცეთ ფართო გზა,
ტ – ტაძარი – ჩვენი სხეული,
უ – უნდა გვახსოვდეს მარადჟამს.
ფ – ფარისევლებმა იზრახეს
ქ – ქრისტეს ღალატი მზაკვრული,
ღ – ღამით შეიპყრეს იესო,
ყ – ყველასგან მხსნელად აღქმული.
შ – შემდეგ მიჰგვარეს ჰეროდეს,
ჩ – ჩვილი ბავშვების დამხოცველს,
ც – ციდან მოსული დმერთი ხარ?!
ძ-ძე ღვთისავ მოდი დაგვლოცე.
წ – წუთისოფელში მოსული
ჭ – ჭეშმარიტება არის ხსნა,
ხ – ხსნა მხოლოდ იესოშია,
ჯ – ჯვარზე გაკვრაა ჩვენი გზა,
ჰ – ჰაერში უფლის მდინარე,
წუხელის ღამით მესიზმრა.

ნუგზარ თუშიშვილი
(კომპოზიტორი)

ჩემო თბილის ქალაქო

შენს მადლიან მიწაზე
სიყვარულით დავთვრები,
რა საოცრად გიხდება
ეგ ლამაზი ჭადრები.

შენი სუნთქვა თან მიმაქვს
როცა გემშვიდობები,
ო, რა ძლიერ მიყვარხარ,
ო, როგორ მენატრები.

ჩემო თბილის ქალაქო
შენი ეშხით ვმაღლდები,
ეგ ღიმილი მაჩუქე,
ნუღარ დამიღონდები,

მთაწმინდიდან მესროლე
გაზაფხულის ვარდები,
სიყვარულის ქალაქო
ყოველთვის მეყვარები.

ეგ ბავშვური სინაზე
დღემდე შემოგრჩენია,
მინდა გულში ჩაგიკრა,
ეს გულიც ხომ შენია.

შენი ზეცა ნათელი
უკვდავების ფერია,
გადღეგრძელებ თბილისო
შენით ბედნიერი ვარ.

ოცდაცამეტი

ოცდაცამეტი – ქრისტეს ასაკი,
ოცდაცამეტი – ასო და ბგერა,
ერის ღირსების წმინდა ლამპარო,
ღვთით კურთხეულო დედაო ენავ.

“ვეხისტყაოსნის”, “ვეფხის და მოყმის”,
დიდი დავითის,თამარის ენავ,
მარადისობის შუქი გინათებს
შენ, უტკბილესო დედაო ენავ.

რამდენი ბრძოლა გამოგვივლია,
ვერ მოგვერია მტერი ჩვენ ვერა,
ყოველთვის იყავ წმინდა თილისმა
ერის მფარველო დედაო ენავ.

სიყვარულისთვის მოვლინებულო,
ქართველი კაცის იმედო, ლხენავ,
ზოგჯერ სიმღერით ამოძახილო
ლოცვად აღქმულო დედაო ენავ.

ყოველი ასო ანგელოზია,
სუყველა ერთად – უფლის სადარი,
ამიტომ არის ქართული სიტყვა
ჭეშმარიტი და ალალმართალი.

დღეს შენთან მთელი საქართველოა,
შენი ნათელი მომავლის გვჯერა,
დედა სამშობლოს გასაბრწყინებლად
წინ გაგვიძეხი დედაო ენავ.

მოვეფეროთ სიყვარულს

ყვავილების სიზმრები
ჩურჩულებენ შორიდან,
ულამაზეს ოცნებით
გაზაფხული მოვიდა.

სიყვარულის ბილიკებს
შენს ქუჩაზე მოვყავარ,
წვიმა თვალებს გისველებს
რა საოცრად მიყვარხარ.

მე შენს ღიმილს ვუმღერი,
შენი ფერის გაზაფხულს,
ჩემი სუნთქვა გიწოდე,
მოვეფეროთ სიყვარულს.

მოვა თეთრი ზამთარი
სევდიანი თვალებით,
მონატრება დამათოვს
ნისლიანი ზმანებით.

ყვავილების სიზმრები
ჩურჩულებენ შორიდან,
ულამაზეს ოცნებით
გაზაფხული მოვიდა.

ნუგზარ თუშიშვილი
(კომპოზიტორი)

გაშაყირებული იური ლევიტანი

დღევანდელი საკვირაო სახალისო მოგონებები თანამემამულე ხელოვანებს მიეძღვნება. ამ პროფესიის ადამიანებს გასახსენებელი ბევრი აქვთ. ზოგიერთი მათგანი ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი გახლდათ, რამდენიმე **„შემთხვევა“** კი შედარებით უცნობი იყო და მათმა **„ავტორებმა“** დღის სინათლეზე მრავალი წლის შემდეგ **„გამოიტანეს“**.

ცნობილი მსახიობი გურამ ფირცხალავა ასეთ ისტორიას ყვებოდა:

„მათემატიკა არასდროს მეპიტნავებოდა და ამ საგანში ყოველთვის მოვიკოჭლებდი. მოუსვენარი ბავშვი კი ვიყავი, მაგრამ მათემატიკის გაკვეთილებზე კარგად ვიქცეოდი. მასწავლებლები სამიანს არ მამადლიდნენ და კლასიდან კლასში გადავყავდით. მეათე კლასში კი მათემატიკის მასწავლებლად ცნობილი ნოე ტაბაღუა დაგვინიშნეს. მასთან ჩაწყობა „არმოსული პონტი“ იყო. გინდა სულ გასუსული მჯდარიყავი მის გაკვეთილზე, გინდა ყირაზე გადასულიყავი, ბოდიში და, ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. იცოდი? – ხუთიანს დაგიწერდა, არა და – ნულიანს. მიუხედავად იმისა, რომ ნოეს გაკვეთილებზე სანიმუშო დისციპლინით გამოვირჩეოდი, ჟურნალი სულ ნულიანებით მქონდა გატენილი. ჩემი ძმაკაცი და თანაკლასელი გივი ჯახუა კი რას არ სჩადიოდა მათემატიკის გაკვეთილებზე – ყვიროდა, აბრახუნებდა, მღეროდა და ასე შემდეგ, მაგრამ მათემატიკა წყალივით იცოდა და სულ ხუთიანები ჰყავდა. მე და გივი საზღვაო სასწავლებელში ვაპირებდით ჩაბარებას. მსახიობობაზე სკოლაში არც კი მიფიქრია და „სამარეხოდკოდ“ საგანგებოდ ვემზადებოდით სპეციალურ დისციპლინებში.

გამოსაშვები გამოცდების დრო რომ მოვიდა, ყველა საგანი ჩავაბარე და ბოლოს მათემატიკა მქონდა დარჩენილი. უიმედოდ ვიყავი, რადგან ვიცოდი, ვერ ჩავაბარებდი და ვერც გადავიწერდი. ნოე არავის აკარნახებინებდა და ჩავფლავდებოდი. ატესტატიც გვერდზე დამრჩებოდა და „მარეხოდკაც“. ერთი სიტყვით, ყურებჩამოყრილი ვიყავი. ამ დროს გივი ჯახუას გონება გაუნათდა და მითხრა:

– ნუ გეშინია, გურამ, მოვიფიქრე შენი საშველი და გადარჩიო.

– როგორ-მეთქი?

– როგორ და, ჩვენ ხომ მორზეს ანბანი ვიცით? ჰოდა დაფასთან რომ გამოგიყვანს ნოე, კაკუნს დავიწყებ, ამგვარად გიკარნახებ და ჩააბარებო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მათემატიკის გამოცდაზე ჩემი ჯერი რომ დადგა, გივიმ კაკუნი დაიწყო. ის აკაკუნებს, მე ვწერ. ერთი სიტყვით, ყველაფერი სწორად დავწერე და ნოემ რომ დაფას შეხედა და შეფასება უნდა ეთქვა, უცებ მაგიდაზე ამოაკაკუნა – ნულიანი...

ნოე ტაბაღუა ძველი მეზღვაური ყოფილა, მორზეს ანბანი სცოდნია, ფანდს მიგვიხვდა და უკვე ყურაბჩამოყრილი გავდიოდი გამოცდიდან, უკან რომ მიმაბრუნა და „კოჭლი“ სამიანიც გამატანა თან...“

ცნობილი ქართველი მსახიობი ვასო გოძიაშვილი ერთ ისტორიას ხშირად იხსენებდა.

„ერთ გაზაფხულს ბიჭვინთაში „მსახიობთა სახლის“ კოტეჯებში ვისვენებდი. ჩემს გვერდით ცნობილი კინოვარსკვლავი – ლუბოვ ორლოვა ისვენებდა, თავის მეუღლე, გრიგორი ალექსანდროვთან და პატარა „ნადკასთან“ ერთად.

ნადკა რაღაც განსაკუთრებული ჯიშის კურდღელი იყო. თეთრი, ფუმფულა და მას ორლოვა დღეში სამჯერ, ძვირფასი შამპუნებით აბანავებდა. ისე უვლიდა, როგორც ღვიძლ შვილს. ორლოვასგან განსხვავებით, მე ოთხი თვის კავკასიური ნაგაზი მყავდა, რომელიც ჩემმა ადგილობრივმა თაყვანისმცემლებმა მაჩუქეს და იქვე, ეზოში მყავდა გაშვებული. თან, ყურადღებას ვაქცევდი, რომ ორლოვას კოტეჯში არ გადასულიყო და მისი ნადკა არ დაეგლიჯა, რომელსაც ჩემი ნაგაზი ავი თვალით უყურებდა ხოლმე.

ერთ დღეს, ჩემმა ლეკვმა ორლოვას ნადკა მომითრია სახლში, რომელიც სულ ერთიანად მიწაში იყო ამოსვრილი. ძაღლს კბილებით ეჭირა და რა თქმა უნდა, მკვდარი იყო... „ეს რა ხათაბალაში გავები. ორლოვამ რომ გაიგოს, ჩემმა ლეკვმა მისი კურდღელი მოკლა, ამ ქვეყანას არ დამაყენებს-მეთქი“, – გავიფიქრე და ძაღლს ჯერ ნადკა გამოვგლიჯე პირიდან და შემდეგ მკვდარი კურდღელი ძვირფასი შამპუნით ვაბანავე, გავაქათქათე. შემდეგ სტაფილო ჩავუდე პირში, ორლოვას უჩუმრად კოტეჯში გადავედი, კურდღელი კართან დავუსვი, ვითომ ცოცხალი იყო და უკან გამოვბრუნდი. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ჩემთან ორლოვას ქმარმა მოირბინა და მითხრა:

– ვასო, ძვირფასო, კარდიამინი ხომ არ გაქვს, ლუბას გულმა შეუტია და უნდა ვუწამლოო.

– რატომ, რა სჭირს-მეთქი? – ვკითხე ალექსანდროვს.

– რა და გუშინ ჩვენი კურდღელი, ნადკა მოკვდა და მიწაში დავმარხეთ. ახლახან კი მან კართან მოგვაკითხა, თან პირში სტაფილო აქვს გაჩრილი და ლუბამ რომ ეს ნახა, გული წაუვიდაო, – მიპასუხა ცნობილმა კინორეჟისორმა.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ჩემმა ლეკვმა კურდღელი მიწიდან ამოთხარა და სახლში მოიყვანა, რაც ორლოვას ლამის ინფარქტად დაუჯდა“.

მსახიობი გია ფერაძე ასეთ ისტორიას ყვებოდა:

„მოსკოვში, მეტყველების ასამაღლებელ კურსებზე რომ გამგზავნეს, ლექციას ცნობილი საბჭოთა დიქტორი, იური ლევიტანი მიკითხავდა. ის უზარმაზარ აკუსტიკურ ოთახში, ფართო აუდიტორიის წინაშე ატარებდა ლექციებს და გვასწავლიდა თავის ხელოვნებას. დროდადრო კი ლიტრიანი ბოთლიდან სვამდა ყლუპებს, რომელსაც უზარმაზარი ეტიკეტი ჰქონდა მიკრული და ეწერა: „წყალი“.

ჩემთან ერთად ცნობილი მსახიობი ოლეგ იანკოვსკიც გადიოდა ამ კურსს და ერთ დღეს გადავწყვიტეთ, ლევიტანი გაგვეშაყირებინა. ზუსტად ისეთივე ბოთლი ვიშოვე. დავაწერე: „წყალი“ და შიგნით ერთი ლიტრი ჭაჭა ჩავასხი, რომელიც თბილისიდან ბოცით მქონდა წაღებული. ლევიტანი რომ აუდიტორიაში შემოვიდა, ოლეგმა ის განზე გაიხმო, ყურადღება გაუფანტა, მე კი მისი ბოთლი მოვიპარე და ჩვენს მერხში დავმალე. ჭაჭით სავსე ბოთლი კი იქვე დავუდგი და ლექციაც დაიწყო.

მე და იანკოვსკი გვერდიგვერდ ვისხედით და მოუთმენლად ველოდით იმ მომენტს, როცა ლევიტანი ბოთლს მოიყუდებდა და შეცბუნებული გადმოასხამდა პირიდან ჭაჭას. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ. ორმოცდახუთწუთიანი ლექციის დროს ლევიტანმა ისე გამოცალა ნახევარი ლიტრი ჭაჭა, რომ ერთიც არ დაჯდანულა. ლექცია რომ დასრულდა, ცნობილმა დიქტორმა აუდიტორიაში დარჩენა მთხოვა და პირისპირ მითხრა:

– კარგად ვიცი, რომ ჩემი ბოთლი შენ შეცვალე და აბა, ერთი, ჩემი ბოთლიდან შესვიო.

მე ბოთლი მოვიყუდე და მოვსვი – წყლის მაგივრად, არაყი ყოფილა. ლევიტანს კი გაეცინა და მითხრა:

– სად ჭაჭა და სად არაყი. გეგონა, რომ ჭაჭას გადმოვასხამდი და იხალისებდით, ხომ?! ვერ მოგართვით. ჭაჭა შენზეა, – ოღონდ, იცოდე, არავისთან გამამხილოო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ოცლიტრიანი ჭაჭით სავსე ბოცა ლევიტანს ვუფეშქაშე და მისი ლექციები უფრო მჭექარე გახდა“.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

განუმეორებელი ლეგენდა, სახელად როსტომ აბაშიძე!

2014 წლის გაზაფხულზე რედაქციაში ბათუმიდან ცნობილი ფალავანი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი როსტომ აბაშიძე გვესტუმრა. ასეთ შემთხვევას ხელიდან ვერ გავუშვებდი. საქმიანი შეხვედრის შემდეგ, საშუალება მომეცა, ბატონ როსტომთან მესაუბრა.

სანამ ამ საუბრის შინაარსს მოგითხრობთ, მოკლედ მოგახსენებთ როსტომ აბაშიძის სპორტული მიღწევების შესახებ.

ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლები საქართველოს ჭიდაობის პოტენციალის აღორძინების პერიოდი გახლდათ. მსოფლიო დონის სეჯიბრება არ გაიმართებოდა ისე, რომ ორი-სამი ქართველი სპორტსმენ ჩემპიონი არ გამხდარიყო.

როსტომ აბაშიძის დებიუტი მსოფლიო ჩემპიონატზე 1958 წელს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში შედგა. ფინალამდე ყველა მეტოქეს იოლად გაუსწორდა. გადამწყვეტ შეხვედრაში მასპინძელი, გეორგ გურიჩი ელოდა, რომელზეც ამბობდნენ, ცხენის ნალს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ასწორებსო.

შიშის დასათესად საკმაოდ "მყარი" არგუმენტი გახლავთ, მაგრამ ქართველი შიშზე ბევრად უფრო მტკიცე და შეუვალი აღმოჩნდა, სამი ქულით დაამარცხა ძლიერი მეტოქე და მსოფლიო ჩემპიონის პირველ ოქროს მედალს დაეუფლა.

იქვე, ბუდაპეშტში, მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩეპიონის ტიტული ლეგენდარულმა ქართველმა მოჭიდავემ გივი კარტოზიამ. აი, როგორ იხსენებს ამ ამბებს თავად ბატონი როსტომი: „გივი შეუდარებელი იყო. იმ დროს მისი სახელი მთელ მსოფლიოში ქუხდა, ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი! წარმოიდგინეთ, რა შიშის კანკალი ჰქონდათ მუხლებში მის მოწინააღმდეგეებს. ფინალის წინ ჩემთან მოვიდა და მითხრა, როსტომ, შენი მოგვერდის გამძლები მე კაცი არ მეგულება, აბა, შენ იცი, არ შემარცხვინოო. ეს ჩემთვის დოპინგივით იყო – ამხელა კაცს იმედს ხომ არ გავუცრუებდი". მოგვიანებით, ამ ორი დიდი სპორტსმენის გზები მრავალგზის გადაიკვეთა.

ამ ჩემპიონატის შემდეგ, ისე მოხდა, რომ ორივე ქვემძიმე წონაში გამოდიოდა. დიდი თავსატეხი გაუჩნდათ ნაკრების მესვეურებს რომის ოლიმპიური თამაშების წინ. ერთ მხარეს იყო კარტოზიას გამოცდილება და ავტორიტეტი, მეორე მხარეს – ახალგაზრდა აბაშიძის წაუგებელი სერია. ოლიმპიადისწინა საკავშირო პირველობაზე აბაშიძემ იმარჯვა და, წესით, ოლიმპიური საგზურიც მას უნდა რგებოდა, მაგრამ კარტოზიას ფენომენმა გადასძლია და მარადიულ ქალაქშიც ის გაემგზავრა. როსტომ აბაშიძე: **„რომში გივიმ ბრინჯაოს მედალი მოიგო. სხვისთვის ეს შეიძლება წარმატება იყო. მაგრამ მისთვის მარცხის ტოლფასი.**

კარტოზია შეუდარებელი მოჭიდავე და კიდევ უფრო დიდი პიროვნება, რომიდან დაბრუნებული შემხვდა და ასე მითხრა: „შევცდი, არ უნდა დავთანხმებულიყავი და ოლიმპიადაზე შენ უნდა წასულიყავი, უეჭველად მოიგებდიო".

ვინც მას იცნობდა, მიხვდება, ეს სიტყვები, ნებისმიერ ოქროზე ძვირფასი გახლდათ. 1962 წელს ამერიკულ ტოლედოში მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე ჩემი მწვრთნელის რანგში წამოვიდა.

პირველ დღეს ამერიკელთან ფრედ დავამთავრე შეხვედრა. მეორე დღეს ოთხჯერ გავედი ხალიჩაზე და ოთხივე შეხვედრა დროზე ადრე მოვუგე შვედ იანსონს, რუმინელ მარტინესკუს, ბულგარელ რადევს და ფინალში თურქ ათლის". თურქი ფალავანი ღონიერი და შეუპოვარი, ერთთავად შეტევაზე ფიქრობდა, მაგრამ აბაშიძის მძლავრ მარყუჟში მოექცა და იძულებული გახდა, ჩემპიონობა ბათუმელი ფალავნისთვის მიელოცა.

1963 წელს ჰელსინკში როსტომ აბაშიძე უკვე ფავორიტის რანგში ჩადის. როსტომ აბაშიძე: **„მე ორგზის ჩემპიონი ვიყავი, ჩემი დამრიგებელი გივი კარტოზია კი სამგზის და პლუს ოლიმპიური ოქროს მფლობელი და მოწინააღმდეგეებს უკვე ორივესი ეშინოდათ".** შიში შიშად, მაგრამ ნახევარფინალში, მელბურნის ოლიმპიურ ჩემპიონ ჰამიდ ყაფლანთან ურთულესი შერკინების გადატანა მოუხდა. ეს თურქი ცნობილი იყო როგორც ძალიან ამტანი და უხეში მოჭიდავე. არც დაუშვებელ ხრიკებზე ამბობდა უარს.

მსაჯებმა ქართველს რამდენიმე უეჭველი ქულა არ ჩაუთვალეს და შეხვედრა ფრედ დასრულებულად გამოაცხადეს. თუმცა, ფინალში მაინც აბაშიძე გავიდა, სადაც კარგად ნაცნობი რუმინელი მარტინესკუ ელოდა. ამჯერად, რუმინელი ოსტატურად უვლიდა გვერდს აბაშიძის თითოეულ მახეს, კონტაქტში შესვლას ერიდებოდა, რითაც სასურველ ფრეს უახლოვდებოდა. ბოლო წუთი დაიწყო და ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ მოწინაამდეგე თავისას გაიტანდა.

როსტომ აბაშიძე: „სხვა გზა არ მქონდა, ეშმაკობა უნდა მეხმარა. მარჯვენა ხელი დავუჭირე და ზურგი შევაქციე. ნებისმიერი თავმოყვარე მოჭიდავე, ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს, რუმინელიც შეეცადა, ზურგიდან „ავეყვანე", მაგრამ ამ დროს დალოცვილი ქართული „მოგვერდიო" ორქულიანზე დავაგდე.

16 წამი იყო დარჩენილი, როცა თავქუდმოგლეჯილი, შეტევაზე წამოსული დავიჭირე და ორჯერ დავატრიალე"... ასე გახდა პლანეტის უძლიერესი ფალავანი მესამედ. ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ცნობილმა სპეციალისტმა არკადი ლენცმა მას **„განსაკუთრებული ტაქტიკის მოჭიდავე"** უწოდა და ამ შეფასებას ჭიდაობის მთელი სამყარო დაეთანხმა. ლენცმა აბაშიძის ეს განსაკუთრებული თვისებები კლასიკური ჭიდაობის ფუნდამენტური სწავლების წიგნში აღწერა და ნაკრების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების დროს ნიმუშად და მაგალითად იყენებდნენ. როსტომ აბაშიძის შეუპოვარ ხასიათზე ერთი ფაქტი მეტყველებს.

1957 წელს მოსკოვი მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებს მასპინძლობდა. ფინალში გასულ ქართველ ფალავანს 40 გრადუსი სიცხე ჰქონდა და ყველა დარწმუნებული იყო, რომ არ იჭიდავებდა. ექიმებმა ხომ კატეგორიულად აუკრძალეს ხალიჩაზე გასვლა. როსტომ აბაშიძე: **„ეს შეჯიბრი ჩემი პირველი მსოფლიო ჩემპიონატის წინ გაიმართა და იქ წყდებოდა, ბუდაპეშტში მე წავიდოდი თუ ვანინი. ვიცოდი, თუ პირველ წუთზევე ვერ დავამარცხებდი მოწინააღმდეგეს, მერე ძალა აღარ მეყოფოდა"...** მოსკოვის ახალგაზრდულ თამაშებზე ეს ყველაზე ხანმოკლე შეხვედრა, სულ რაღაც 30 წამს გაგრძელდა. მოწინააღმდეგე ხალიჩაზე გულაღმა გაშხლართულიყო, აბაშიძე კი საავადმყოფოში გააქანეს და ოქროს მედალიც იქ მიუტანეს.

როსტომ აბაშიძე: „თითქოს ყველაფერი მოვიგე, საერთაშორისო არენაზე არავისთან დავმარცხებულვარ, ორჯერ თუ სამჯერ ფრედ დავასრულე შეხვედრა, მაგრამ ხინჯად მაინც მაქვს, რომ ოლიმპიური ოქროს მედალი ვერ მოვიგე"...

ბეჭდაუდებელ ბათუმელ ფალავანს, როსტომ აბაშიძეს, 82 წელი შეუსრულდა. **„რეპორტიორი"** და გაზეთი **"ილორი"** დღეგრძელობას უსურვებენ დიდ სპორტსმენს და დიდებულ ქართველს, ვინც მსოფლიო სარბიელზე ღირსეულად ატარა ქართველი ფალავნის სახელი და სამართლიანად ითვლება ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ლეგენდარულ დიდოსტატად.

მიმართვა ბიზნესმენებისადმი

ბატონებო!

ამ დღეებში სახელგანთქმულმა მეცნიერმა, ბატონმა გია კვაშილავამ ინტერნეტ-სივრცეში გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კემბრიჯში (ინგლისი), ათენსა (საბერძნეთი) და ჰარვარდში (აშშ) დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენციები.

ძალიან მნიშვნელოვანი და საამაყოა, რომ აღნიშნულ ღონისძიებებში სამეცნიერო მოხსენების საჯაროდ წარსადგენად მიწვეული არის ბატონი კვაშილავა, რომელიც გახლავთ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი.

ბატონი კვაშილავას ინფორმაციით მის მიერ კონფერენციებზე წარსადგენი მოხსენება უკავშირდება ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისის A კლასის ხაზოვან წარწერების საერთო-ქართველურ ენაზე გაშიფვრას. ბატონი კვაშილავას მიერ დეშიფრირების შედეგად ირკვევა, რომ პირველი ქართველური მარცვლოვანი დამწერლობა შეიქმნა 4.000 წლის წინ.

ამდენად, მიმაჩნია, რომ ჩვენი თანამემამულის მიერ გაწეული სამეცნიერო კვლევის შედეგი არის უაღრესად მნიშვნელოვანი და ფასეული კოლხურ-იბერიული მოდგმისათვის, რათა მან დაიკავოს კუთვნილი ღირსეული ადგილი კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის სათავეებთან მდგომ ერთა შორის. გამომდინარე აქედან, ეროვნულ-პატრიოტულ ფასეულობებზე ორიენტირებულო პატივცემულო ბიზნესმენებო, მოგმართავთ თხოვნით და თუ გნებავთ მოწოდებითაც, რომ გაუწიოთ შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა ჩვენს სასიქადულო მეცნიერს, ბატონ გია კვაშილავას, რათა მან შესძლოს ზემოთაღნიშნულ კონფერენციებში მონაწილეობა და ჩვენი ეროვნული, მაგრამ მნიშვნელობით ზოგადსაკაცობრიო მეცნიერული აზრის მსოფლიოსათვის გაცნობა...

პატივისცემით,

გაზეთ "ილორის" რედაქცია.

ბატონი გიას საბანკო ანგარიშებია:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი: TBCBGE22

ლარის ანგარიში:

CE52TB7004027365100008

მიმღების დასახელება: გია კვაშილავა

TBC BANK FOR USD TRANS - FER BENEFICIARY,S BANK: HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22 JSK TBC BANK , Head Office BEN,S Account: GE84TB7402736612500001 NAME OF BENEFICIARY: GIA KVASHILAVA

დინოზავრები შეიძლება დაბრუნდნენ

აშშ-ის, კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარი პატრისია ჰილარდის მტკიცებით, თუ გლობალური დათბობა ვერ შეჩერდება, დედამიწას გიგანტური რეპტილიების მორიგი შემოსევა ელის. მათი სხეულის ზომა კი კლიმატის ხასიათზეა დამოკიდებული.

კვლევის შედეგები ხვლიკის ერთ-ერთ სახეობის შესწავლას ეყრდნობა. სხეულის გიგანტური ზომის გარდა, ის ხვლიკის თანამედროვე სახეობებისგან არაფრით განსხვავდება. რეპტილიის სიგრძე, რომელიც 40 მილიონი წლის წინ, პალეოგენურ პერიოდში ცხოვრობდა, ორ მეტრს აღწევდა. ამასთან, ძუძუმწოვრების თავბრუდამხვევი განვითარება მას არსებობაში სულაც არ უშლიდა ხელს.

თუმცა პალეოგენური პერიოდი გაცილებით თბილი კლიმატით ხასიათდებოდა და ცივსისხლიანი რეპტილიებისთვის სულაც არ იყო აუცილებელი, უზარმაზარი სხეულის ნორმალური არსებობისთვის საჭირო დიდი ენერგია საკვებიდან მიეღოთ.

ნებრასკის უნივერსიტეტის მკვლევარი ჯეისონ ჰედი აღნიშნავს, რომ გარემოში, სადაც თბილი კლიმატია, ძუძუმწოვრები რეპტილიებთან შედარებით საკუთარ უპირატესობას კარგავენ. რადგან სხეულის ტემპერატურის რეგულირების უნარი იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის.

იუმორი

ავადმყოფს, რომელიც სასწრაფო დახმარების მანქანამ მიიყვანა საავადმყოფოში, კისერზე ჰკიდია დაფა წარწერით:

"ექიმო, ეს ეპილეფსიაა და არა აპენდიციტი. აპენდიციტი უკვე სამჯერ ამომაჭრეს".

* * *

ცოლი:

— საყვარელო, ატყობ, რომ კიტრის ნიღაბი ძალიან უხდება ჩემს სახეს?

— კი, შევამჩნიე, მაგრამ ვერ გავიგე, რატომ არ იხსნი?

* * *

— ოფიციანტ, ეს ყავაა თუ ჩაი?

— გემოთი ვერ ხვდებით?

— ვერა.

— მაშინ, რა მნიშვნელობა აქვს?

* * *

გურული გოგონა ახლო აღმოსავლეთში წავიდა და ცოტა ხანში იწერება:

— დედიკო, ძალიან კარგად ვარ, ჩემი თავი მთლიანად პინგ-პონგს მივუძღვენი. დედა პასუხად წერს:

— მაი აფერია, შვილო, ჩინელი რომაა... მთავარია, კაი ადამიანი იყოს!

გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.

დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930

234-32-95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე **WWW.saqinform.ge**